

# თვალსაზრისი

ლიანა გოგუაძე

## აუდიტორიის პირისპირ

(ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს)

### II

წინამდებარე სტატია აგრძელებს ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვას. ნაშრომის პირველი ნაწილი გრამატიკულ სიზუსტეს შეეხებოდა [1]. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ეს სიზუსტე სისტემურ ცოდნას, ტექსტში ინტეგრირებით დანაწევრებულ გრამატიკულ თემათა მთლიანობაში გააზრებას უნდა ემყარებოდეს. ამასთან, მითითებული იყო ამჟამად მოქმედი საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში ამგვარი ცოდნის უზრუნველყოფის სავარაუდო გზები.

გამოყენებული იყო ცნებითი აპარატი (საკვანძო სიტყვები): სასწავლო მასალის/პროგრამის ლოკალიზაცია დროსა და სივრცეში, კომუნიკაციური გრამატიკის პრიმატი და ერთენოვანი აუდიტორიის სპეციფიკა; შეცდომათა ტიპოლოგია – სიღრმისეული და ზედაპირული შეცდომები; ენობრივი უნივერსალიები, ანალოგია და კონტრასტი; ინტერფერენციის ფაქტორი და EFL მასწავლებელი; მეტყველების სიზუსტე და აზროვნების წესის დანერგვის აუცილებლობა; ფრაგმენტიზებული თემატიკის სისტემატიზაცია.

მოცემულ პუბლიკაციაში ლექსიკას შევეხები. აქვე შევნიშნავ: ჩემს აუდიტორიას ამჟამად ანგლისტიკისა და ევროპათმცოდნეობის სტუდენტობა შეადგენს. ვფიქრობ, ე.წ. საბაზო (ზოგადი) ინგლისურის გარდა (რომლის სწავლების ზოგიერთი მხარე ნაშრომის I ნაწილში აისახა), უმაღლესი სკოლა მათ ენის დაუფლების უფრო მაღალ სტანდარტებს უნდა სთავაზობდეს. ლექსიკური სიზუსტის ძიებისას მოცემული სტატია მის გარკვეულ მონაკვეთებში სწორედ ამ აუცილებლობას ეხმიანება.

მაშასადამე, ამჯერად ლექსიკაზე საუბარი. როგორ მივალწით ამ მხრივ მეტყველების სიზუსტეს ჩვენს ერთენოვან სტუდენტურ აუდიტორიაში?

ლექსიკა უფრო ნაკლებკონსერვატიულია (I), ვიდრე გრამატიკა. ამასთან იგი, პრაქტიკული სწავლების თვალსაწიერიდან დანახული, ნაკლებად სისტემურიც ჩანს და პირობით მას ნაკლებსისტემურს ვუწოდებ (II).<sup>1</sup> ეს ლექსიკის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, რომელთა შეძლებისგვარად გათვალისწინება უდავოდ გაუადვილებს მასწავლებელს სიზუსტის გზების ძიებას და ამ ძიებისას გარკვეული ორიენტირებისა თუ კანონზომიერების მიგნებას.

ლექსიკა იმთავითვე ასოცირდება სიტყვართან და ტექსტთან. ამდენად, სწორედ მათთან მიმართებაში განვიხილავ როგორც (I), ასევე (II) მახასიათებელს; და რადგან ლექსიკის ძირითადი ერთეული არის სიტყვა, მსჯელობა წარმართება ორი მიმართულებით: რა რაოდენობის სიტყვას ფლობს სტუდენტი? რა სიზუსტით ფლობს იგი თითოეულ მათგანს? რაოდენობრიობა (აქ: ლექსიკური მარაგი) და თვისობრიობა (აქ: მეტყველების სიზუსტე) ლექსიკური კვლევის ურთიერთშემცველი და განუყოფელი ნაწილებია. ეს ყველასათვის ცხადია და ხაზგასმით მას უკვე აღარ შევხები.

### მონაკვეთი (I)

**ლექსიკის ნაკლებკონსერვატიულობა**, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ იგი ღიაა ყოველი სიახლისათვის. ლექსიკას უფრო მეტად, ვიდრე გრამატიკას ან ფონეტიკას, მჭიდრო კავშირი აქვს ობიექტურ სინამდვილესთან, გარესამყაროში მიმდინარე პროცესებთან. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ლექსიკის ღიაობის სათავე. ლექსიკის ღიაობა კი, თავის მხრივ, არის კომუნიკაციური ფუნქციის შესასრულებლად ენის მუდმივად განახლებადი მზაობა.

ჩვენი სასწავლო მასალა, ახალი თაობის სახელმძღვანელოები, შერჩეული თემატური ერთეულებითა (units) და სიტყვარით, ნათლად ადასტურებს აღნიშნულ კავშირს. ერთი მხრივ, მათში წარმოდგენილია ის, რაც ტრადიციულად ყოველთვის იყო შესწავლის საგანი (თემები: Family, Friends, Education, Holidays და მისთ.), მეორე მხრივ კი, ის, რამაც ბოლო ხანებში შეიძინა აქტუალობა და მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში: Global Issues, New Frontiers (Futurology, Artificial Intelligence); Communication/Media; Identity და სხვ.

1 ლექსიკის სისტემურობა და სიმწყობრე, რომელიც გრამატიკული საგანის რამდენადმე განსხვავებულია, თეორიული განსჯის საგანს წარმოადგენს და სცილდება აღნიშნული სტატიის ფარგლებს.

უდავოდ, ყოველივე ამაში, როგორც ითქვა, წარმმართველია ექსტრალინგვისტური ფაქტორი, ენა კი, თავის მხრივ, სახელს არქმევს და ამით ასახავს იმას, რაც მის მიღმა, ყოფიერებაში ხდება. თემათა შერჩევა-დალაგება, შესაბამისი სიტყვარით, სასაუბრო მასალითა და სავარჯიშოებით უზრუნველყოფა ავტორთა, ხოლო ყოველივე ამის სტუდენტისათვის მიწოდება მასწავლებლის პროფესიონალიზმის საქმეა და ეფექტური სწავლების წინაპირობა.

შეიკრა ერთგვარი სამკუთხედი: ავტორი/სახელმძღვანელო, მასწავლებელი, სტუდენტი. მასწავლებელი ნებისმიერი სახელმძღვანელოს შემთხვევაში შუალედური და მნიშვნელოვანი რგოლია. სტუდენტი მისი ადრესატია, პარტნიორი. აუდიტორია დიდად განაპირობებს სახელმძღვანელოს არჩევანს, მასალის მოცულობასა და სირთულის დონეს. მასწავლებელი მოწოდებულია არა მარტო ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტს, არამედ მისცეს მას ცოდნა-განათლება – მიზეზობრივად აუხსნას ესა თუ ის ენობრივი მოვლენა და ამით აუდიტორიაში შექმნას სააზროვნო სივრცე. ეს საგრძნობლად აამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და აკადემიურ პროცესში ჩართულობას.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით შედეგიანია და თვალსაჩინო ხდება გრამატიკის სწავლებისას – გრამატიკა უფრო მეტად აძლევს როგორც მასწავლებელს, ასევე შემსწავლელს განზოგადების საშუალებას, იგი ხასიათდება მეტი ლოგიკური სიზუსტითა და ამასთან – სასრულობით; თუმცა ლექსიკაშიც სავსებით შესაძლებელია ამ მიმართებით საგულისხმო პარამეტრების დაძებნა. ეს მომდევნო (II) მონაკვეთში იქნება განხილული; აქ კი განვაგრძობ საუბარს ლექსიკის დინამიზმსა და მის გახსნილობაზე სიახლეთა მიმართ, რაც იმთავითვე გულისხმობს სიტყვარს და რაც ფაქტობრივად სიტყვართან ნაცნობობით იწყება.

ტექსტობრივ თემატიკასთან ერთად და კვალდაკვალ ჩნდება ახალი ენობრივი ერთეულები – სიტყვები, შესიტყვებები, იდიომატიკა. ახალი თაობის სახელმძღვანელოები სრულად განმარტავენ მათ, ტექსტები და სავარჯიშოები კი მოწოდებულნი არიან კონტექსტურად განამტიკონ და ხელი შეუწყონ ახლის აქტიური ცოდნის მარაგში ანუ მეტყველებაში გადართვას. დავასახელებ რამდენიმე ასეთ სიახლეს: ageism, Echonet, webcam(era), beep, blog, cyberspace, to jet lag, to freeze, to text, maglev train და ა.შ.

სავსებით გასაგები მიზეზების გამო, სიახლის ასახვის თვალსაზრისით, ამ თაობის სახელმძღვანელოები რამდენადმე წინ უსწრებენ ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებს და, ასე ვთქვათ, პირველი ხელიდან გვაწვდიან სათანადო განმარტებებს. მაგალითად:

Echonet - this piece of technology (....) allows you to communicate with your fridge, air conditioner, washing machine, oven and burglar alarm...., [2, 40-41]; Ageism is prejudice against older people, for example through refusing them employment; ამას ერთვის კომენტარი: It is a new word, following the models of *racism* and *sexism* [3,129].

ტექნიკურ მიღწევათა პარალელურად მიმდინარე სამეცნიერო თუ სოციალურ-კულტურული ძვრები, ცხადია, ასევე აისახება ენაში და, შესაბამისად – სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში.<sup>2</sup> დღეს ყველა ლექსიკონშია აღნუსხული culture shock; უფრო მეტიც, რადგან ცნება ტევადია, იგი ადვილად განივრცობა და ცალკეული გაკვეთილებისაგან შემდგარ თემატურ ერთეულსაც ქმნის [4, 105]; მაგრამ იყო დრო, და არც ისე შორეული (ვინაიდან ორი თუ სამი ათწლეული უმნიშვნელო მონაკვეთია ნებისმიერი ენის ისტორიაში), როცა ენის მატარებელს ჩვენი აუდიტორიისათვის თავადვე უხდებოდა მის მიერ მოწოდებული სიახლის განმარტება.

ლექსიკის ღიაობა იმთავითვე მოიცავს სიტყვათქმნადობის პროცესს, ენის გამდიდრებას ნეოლოგიზმებით. ამ მხრივ ინგლისური განსაკუთრებული დინამიზმით გამოირჩევა. გაკვრით შევხებით ლექსიკური სიახლეების ორ მხარეს: მათს ფორმასა (1) და შინაარსს (2).

(1) ლექსიკურ სიახლეთა ფორმა მოცემულ შემთხვევაში სიტყვათწარმოების საშუალებებს გულისხმობს. ამათგან ჩვენი სასწავლო მასალის ფარგლებში ხშირია თხზვა, ზოგჯერ აბრევიატურით/აკრონიმით გაჯერებული, თავად აბრევიატურა, სუფიქსაცია და, რაღა თქმა უნდა, კონვერსია, რომლის სიხშირით გამორჩეულ ნიმუშად გამოდგებოდა თუნდაც „ყველგანმყოფი“ ფრაზული ზმნები (და, ცხადია, არა მარტო ისინი) მათგან წარმოებული სახელებითურთ. შდრ. იგივე Echonet, Echofriendly; აგრეთვე: online, email (n/v), blog (n/v), ageist, to download (a file), to prioritize, VHR (very high risk) zone/errand, to turn out: a vast crowd turned out to watch the procession [5, 1651] – a huge/low turn-out of voters; to hand over (the power, control) – a hand-over (of the power, control); to get away with (only a fine. [5, 650]) – a get-away/getaway (to make a quick getaway [ibid.]); დავასახელებ, აგრეთვე, იმგვარ სიახლეებს, როგორცაა peer pressure, peer review, უკვე ნახსენები culture shock.

2 სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ამ ფაქტორებით აიხსნება ლექსიკური მარაგის შთამბეჭდავი მასშტაბები ინგლისურში – სახელდება დაახლოებით მილიონამდე სიტყვა; აქედან ენის მატარებელთა დიდი ნაწილი საშუალოდ „მოიხმარს“ ათი ათას ერთეულს [3, 159].

შენიშვნა 1. ავტორები იმგვარ ერთეულებს, როგორცაა culture shock, peer pressure და ა.შ. რთულ არსებით სახელებად მიიჩნევენ [6, 159]. ამრიგად, ჩვენ წინაა სიტყვა (და არა შესიტყვება) და იგი ლექსიკის შესწავლის ობიექტია.

შენიშვნა 2. ნეოლოგიზმის ცნების შესახებ: სიახლე vs ნეოლოგიზმი. ისინი აქ, შესაბამისად, მთელსა და ნაწილს გულისხმობენ. ნეოლოგიზმი იგივე სიახლეა, ოღონდ ესაა ლექსიკის ერთეული, სიტყვა, რომელიც ბოლო ხანებში შეემატა ენის ფონდს; სიახლე კი ფართო გაგების ცნებაა და ერთნაირად მიემართება როგორც ლექსიკის, ასევე გრამატიკისა და ფონეტიკის დონეებს (და არა მარტო მათ. შდრ.: სიახლე ჩვენს ყოველდღიურობაში / ურთიერთობაში და ა.შ).<sup>3</sup> ამგვარი ინტერპრეტაცია სწავლების პრაქტიკული მიზნებითაა ნაკარნახევი; თუმცა ვიმედოვნებ, არც თეორიული თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს აქ არსებით გადაცდომას ადგილი. ამავე კონტექსტში მოიაზრება ჩვენს ენაში დამკვიდრებული ნასესხობები: ტრენინგი, ფაილი და მისთ. (რასაც დაბეჯითებით უნდა გაემიჯნოს ბარბაროზმები/ჟარგონები: კრეატიული, მენტალობა, გავუშეარე, სელებრიტები და სხვ.). ყოველივე ამას უფრო გამოწვლილვით ლექსიკოლოგია შეისწავლის.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოებთან ერთად ლექსიკის გამდიდრება-გადახალისების, სიახლეთა, თუ შეიძლება ითქვას, „მომხმარებლამდე მიტანის“ დამკვიდრებისა თუ რეალიზაციის მძლავრი მექანიზმია მედიის ენა და ეს იმთავითვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასწავლო პროგრამების შედგენისას. სხვაგვარად ევროპათმცოდნეობა და ანგლისტიკა დღეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია. მომდევნო მაგალითებში შუალედური დონის ერთეულები ხაზგასმითაა გამოყოფილი. რადგან მასალას უცხოური სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებებს დავესესხე, მიკროკონტექსტი აქ სოციალურ-პოლიტიკურ ელფერს ატარებს: ... has been waiting for the government for months to come up with radical changes; a diplomatic fall-out, an election fall-out (შდრ. იგივე ლექსიკური ერთეულები, ამოღებული საპროგრამო მასალიდან: to come up with an idea [2, 143]; to fall out with sb. over sth [7, 17], [6, 171]).

დააკვირდით ასევე ქვემოჩამოთვლილ შესიტყვებებს/ფრაზებს. ვფიქრობ, სიტყვათწარმოების თვალსაზრისით ეს ნუსხა მრავლისმთქ-

3 ასე მაგალითად, სიახლეა will დამხმარე ზმნის ხმარება მომავალი დროის პირველ პირში (ისევე, როგორც მომავლობისა და რიგ სხვა ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბება სიახლეს წარმოადგენდა საშუალო პერიოდის ინგლისურში). სიახლეა თანხმობანთა ამჟამად მიმდინარე ასიბილაციის (assibilation) პროცესი: Did you... Won't you და მისთ. ამ სახის დინამიკას, ექსტრალინგვისტურ გარემოებათა შესაბამისად, ენის შინაგანი პოტენციალი ანუ ინტრალინგვისტური ფაქტორი განაპირობებს.

მელი უნდა იყოს ჩვენი სტუდენტისათვის: a power-share deal; a peaceful handover of power; a slow-down in demand growth; energy-hungry world, to take a hard line, a hard-line politician; to step up cooperation/pressure; to downplay (the danger/the reports on terrorism). დამოწმებული მასალა მრავლისმთქმელია, რადგან მასში კარგად ჩანს ზოგადად სიტყვათწარმოების სპეციფიკა, კერძოდ კი – ის, თუ როგორ მოაქცევს ინგლისური ენა ერთგვარ ყალიბში უმარტივეს, ყველასათვის კარგად ნაცნობ სიტყვებს, რათა შექმნას (უფრო ზუსტად, რათა „გამოჭედოს“/in order to coin) სიახლე და შექმნას იგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გზით. ეს ნიშნავს, რომ ამ ყალიბში შერწყმულია ენის ლექსიკური (ცალკეული სიტყვები), სინტაქსური (ამ სიტყვათა განლაგება და ურთიერთმიმართება: oil-rich countries), იდომატური (to take a stand on/against sth.) და სხვა კომპონენტები. საინტერესოა ასევე ზოგიერთი ლექსიკური სიახლის მორფოლოგიური და ორთოგრაფიული მხარეც: იცვლება მეტყველების ნაწილი (კონვერსიის გზით) – იცვლება მართლწერაც: to fall out (over sth.) → a fall-out (over sth.); შდრ.: to share power with sb. → a power-share deal და მისთ.

კონვერსია მისი თანამდევი მორფოლოგიური, ფონეტიკური თუ სხვა ენობრივი მახასიათებლებით ინგლისური სიტყვათწარმოების მეტად გამორჩეული და თავისებური ხერხია. იგი, ამასთან, მაღალპროდუქტიულობა – ანალიზური ენისათვის იოლია მხოლოდ პარადიგმის შეცვლით სიტყვის ლექსიკურ-გრამატიკული გარდაქმნა-ტრანსპოზიცია. მაღალპროდუქტიულობა ნიშნავს, რომ კონვერსია ხმარების სიხშირითაა გამორჩეული და, ამდენად, სწავლების თვალსაზრისით, იგი მნიშვნელოვანია და ყურადსაღები.

ცხადია, კონვერსიის თემაში არაფერია ახალი, მაგრამ იგი აქტუალურია, რადგან ზემოთქმული უშუალოდ ეხება მსჯელობის საგანს – ნეოლოგიზმებს. ენის ამგვარი მოქნილობის შედეგად იზრდება მისი ლიპობის ხარისხი და ამასთან – სიტყვათქმნადობის დინამიკაც. ამ და სხვა ამგვარი პროცესების გააზრებულ ხედვა მინიმალური თეორიის მიწოდებით, ცხადია (რადგან ეს პრაქტიკული კურსია), მხოლოდ გაუადვილებს სტუდენტს საკითხთან მიახლებას – ზრდასრული შემსწავლელი (რომელიც, ნებისთ თუ უნებლიეთ, პარალელს ავლებს ქართულთან) ადვილად შეამჩნევს, რომ კონვერსია ლექსიკის გამდიდრების ყველაზე მარტივი გზაა, რაც კი უცხოურმა ენამ შეიძლება მას შესთავაზოს. ამ მხრივ ხმარების სიხშირით გამორჩეულია მოდელი verb → noun. მაგ.: to drop out – a dropout, to permit – a (work) permit, a text – to text (sb. sth.), a fax – to fax (sb. sth.): Could you ask Mr. V. to fax me an invoice [2, 170]. Every

week, a group of British pupils file into class to start their lessons... [7, 110]. I'm a natural show off, I suppose [8, 12].

არ არის გამორიცხული კონვერტირებული სიტყვის სიზუსტით ამოცნობისას წარმოიქმნას ერთგვარი სირთულე, ორაზროვნება. უმარტივესი მაგალითი: file ყველასთვის ნაცნობია, როგორც არსებითი სახელი. დამოწმებულ მაგალითში კი, ერთი შეხედვით, თითქოს „ცნობადობა“ არ ჭრის. ნებისმიერ შემთხვევაში სიტყვის გრამატიკული და ლექსიკური სტატუსის დადგენა (რაც წაკითხვა-მოსმენის პასიური უნარ-ჩვევებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია) კონტექსტის დახმარებით ხდება. ....pupils file into class... სტუდენტი ადვილად ხვდება, რომ ეს არის ნაცნობი არსებითი სახელისაგან წარმოებული ზმნა. სახელი file კრებითობის, სიმრავლის მიმნიშნებელია; მიმართულების წინდებული into და მომდევნო სიტყვები კიდევ უფრო აზუსტებენ მნიშვნელობას: *ჯგუფურად, ერთად შესვლა*.

მნიშვნელობის ამოცნობა პასიური უნარ-ჩვევაა და ამ „პროცედურის“ გავლის შემდეგ უკვე სავსებით შესაძლებელი ხდება სიტყვის ზეპირ თუ წერით მეტყველებაში გადატანა-აქტივიზაცია. უფრო რთულია შემთხვევა, როდესაც ამ პროცესში ფონეტიკაცაა ჩართული, როდესაც ორაზროვნების მოსახსნელად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს წინადადების შეუცდომლად დაყოფა აზრობრივ და ინტონაციურ ჯგუფებად/სინტაგმებად (მით უფრო, თუ პუნქტუაცია ამ მხრივ, შესაძლოა, არაფერს გვთავაზობდეს): Which member of your family do you get on with  $\xi$  best? [2, 15]. შემდეგი მაგალითიც იმავე სირთულეს უქმნის შემსწავლელს, ოღონდ ამჯერად უკვე ფრაზული ზმნის გარეშე: And in terms of technology, where Japan leads  $\xi$  the world follows [2, 40]. შდრ.: Japan leads the world  $\xi$  in many fields of modern technology. დამოწმებულ წინადადებათა განსხვავებულ ინტონაციურ ორგანიზაციას არსებითად განაპირობებს მათი შინაარსი და სინტაქსური სტრუქტურა.

ფაქტობრივად, სიტყვის კონვერტირება, ხოლო შემდგომ, მეტყველების სიზუსტის მიზნით, მისი გრამატიკული და ლექსიკური პარამეტრების ამოცნობა (ზმნა vs არსებითი vs ზედსართაული მსაზღვრელი) ურთიერთმემცველი პროცესებია; ესაა ერთი მთელის ორი მხარე, რომელსაც ანალიზური ენა ქმნის და რომელშიც, ენის ამგვარი მახასიათებლის (ანალიზურობის) გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკური ერთეულის უშუალო გარემოცვას. სწორედ ამ გარემოცვის ანუ მიკროკონტექსტის დონეზე ხდება სიტყვის ფუნქციური გარდასახვა-ტრანსპონირება, რასაც ხელს უწყობს მორფოლოგია, უფრო კონკრეტულად – ფლექსიათა სიმცირე, პარადიგმათა მწირი სისტემა, და რაც (ტრანსპოზიცია) საბოლოოდ სინტაქსის დონეზე აქტუალიზდება.

სასწავლო მასალის ფარგლებში ინგლისური ენის მოქნილობის სხვაგვარ ნიმუშებსაც ვხვდებით, რაც შუალედურ დონეზე ინფორმაციის ამოცნობას (ანუ პასიურ უნარ-ჩვევას) უფრო უკავშირდება, ვიდრე ინფორმაციის სიზუსტით გადაცემასა თუ ტექსტის სიზუსტით შედგენას; ამიტომ აქ მასზე არ შევჩერდები.

კონვენსიის მომდევნო ნიმუშად ფრაზულ ზმნებს დავასახელებდი: to get together → a get-together; to follow sth. up → a follow-up: It (the conference) was another follow-up to the 1997 conference in Kyoto, Japan [6, 90]. აქვე დავურთავ სახელმძღვანელოებში და აუდიტორიაში ხშირად ხმარებულ ფრაზებს: a follow-up activity/follow-up questions და მისთ. (შევნიშნავ: აქ არსებითი სახელი a follow-up ზედსართაული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს. იგივე შეეხება ზემომოყვანილ მაგალითს: a power-share deal).

ფრაზული ზმნები არაერთი სხვა პარამეტრით იმსახურებენ ყურადღებას და ეს, ცხადია, ცალკე (და ინფორმანტებთან შეთანხმებული) კვლევის საგანია.

სიტყვის ფუნქციური მრავალსახეობა უშუალოდ უკავშირდება მისი ინფორმატიულობის ხარისხს და კომუნიკაციის აქტის წარმატებით წარმართვას. მაგრამ ლექსიკური ერთეულის ინფორმატიულობა, მისი შინაარსობრივი მხარე თუ სიღრმე (ბ) პუნქტში განიხილება და, ვიდრე მასზე გადავიდოდე, აქვე შევეხები უშუალოდ აუდიტორულ მუშაობასთან დაკავშირებულ ლექსიკას, ყოველივე იმას, რაც ახალია ჩვენს პრაქტიკაში და რაც უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად თამამად შემოვიდა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის პროცესში: learner/teacher-centred lesson; learner/teacher feedback, classroom management, TTT vs STT (Teacher vs Student Talking Time); TTT (Test-Teach-Test); to brainstorm a learner; to skim a text; to elicit information from a text/a learner) და სხვა მრავალი. ამგვარი სიახლეები მნიშვნელოვანწილად ცვლიან ლექცია-გაკვეთილის ჩვეულ სტრუქტურას და ეს ცვლა-გადახალისებაც ასევე განპირობებულია გარესამყაროში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრებით, რასაც მოჰყვა ინტენსიური კონტაქტები უცხოეთის ქვეყნებთან, ინგლისურენოვან კოლეგებთან, შეხვედრები საკვალიფიკაციო თუ საკონფერენციო ფორმატში და ა.შ. გასათვალისწინებელია უახლესი ტექნიკური მიღწევების სიკეთე – ინტერნეტსივრცე და სათანადო ლიტერატურის ადვილი ხელმისაწვდომობა. მეთოდურ სიახლეთა სათანადოდ გააზრება და ჩვენს აუდიტორიაში საჭიროებისამებრ დანერგვა EFL მასწავლებლის პროფესიული ზრდისა და სწავლების გაუმჯობესების უტყუარი გზაა.



(2) ლექსიკურ სიახლეთა შინაარსი აქ მათ ინფორმაციულ ტევადობას, შინაარსობრივ სიღრმეს გულისხმობს.

ავილოთ მარტივი შემთხვევა: პოლისემიით მდიდარ ენას ადვილად შეუძლია ნაცნობ სიტყვას დაურთოს მნიშვნელობის ახალი შრე, როგორც ეს, მაგალითად, to freeze ზმნასთან აღინიშნება: My computer keeps freezing! [2, 169]. ჩემი კომპიუტერი ჭედავს. აქვეა ზემოხსენებული არსებითი სახელი mouse – კომპიუტერის მაუსი [9, 130]. შევნიშნავ, რომ ახალი მნიშვნელობის მრავლობითისათვის მას შემოაქვს ფორმა mouses და, ჩანს, ენაში ამ სახით(აც) იმკვიდრებს თავს.<sup>4</sup> ესაა ლექსიკურ-გრამატიკული ნეოლოგიზმი. გრამატიკის კონსერვატიულობას თუ გავითვალისწინებთ, ეს მეტად საგულისხმო (იშვიათი და ლექსიკის „ზემოქმედებით“ განპირობებული) შემთხვევაა.

საინტერესოა, რომ ინგლისური შესატყვისის მეშვეობით ზოგმა ქართულმა სიტყვამაც ასევე შეიძლება შეიძინოს გარკვეული ინფორმაციული სიღრმე. თუ დავაკვირდებით, ეს ხდება მაშინ, როცა, წმინდა პრაგმატული ნიშნით, ყოფიერებიდან გამომდინარე, ინგლისური სიტყვის მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი ადრე ნაკლებად ან სულაც არ იყო მოთხოვნილი ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ახლა კი, ასევე ყოფიერებიდან გამომდინარე, ხდება ამ მნიშვნელობის „ამოზიდვა“ და ყოველდღიურ ხმარებაში მისი ინტენსიური დანერგვა. დავიმოწმებ პოლისემიურ არსებით სახელს challenge, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა გამოწვევა: an invitation or a suggestion to sb. that they should enter a competition, fight, etc.: to accept/take up a challenge [5, 242]. რა თქმა უნდა, აქ გაგვანსენდება დუელში გამოწვევა, უფრო ახლო წარსულიდან კი – სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა და ყოველივე ამასთან დაკავშირებული პერიპეტიები, რაც დღეს მხატვრულ სინამდვილესღა შემორჩა. დღევანდელი სინამდვილე კი ითხოვს და, შესაბამისად, სიტყვაში აქტუალიზდება მნიშვნელობის სხვა კომპონენტი, კერძოდ, a new or difficult task that tests sb.'s ability or skill: an exciting/interesting challenge [ibid.]; დღეს უკვე ეს მნიშვნელობა გამოირჩევა ხმარების სიხშირით, რასაც განაპირობებს სოციალურ-პოლიტიკური გარემო და ხელს უწყობს მედია. მაგ. (ამოღებულია ამ რამდენიმე წლის წინ უცხოეთიდან დაბრუნებული, ახალდაწინაურე-

4 გამოკითხული ოთხი ინფორმანტისაგან სამი ასახელებს ფორმას mouses. იხ. აგრეთვე [5, 998]. ამგვარ მრავლობითს, ცხადია, კონტექსტთან ერთად, დიფერენციაციის ფუნქცია აკისრია – იგი ძველი მნიშვნელობისაგან (თავკი) გამოყოფს ახალს (კომპიუტერის ერთ-ერთი ნაწილი). წმინდა ენობრივი კომენტარი: ძველი ინგლისური mice ჩაანაცვლა -s- ფლექსიის მქონე სახელმა და ამით შედგა მრავლობითის ფორმის უნიფიკაცია.

ბული პირის ინტერვიუდან): *ეს (შეთავაზებული მაღალი თანამდებობა) ნამდვილად დიდი გამოწვევაა ჩემთვის...*

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მნიშვნელობით თავად ინგლისურში ეს სიტყვა არ არის ახალი – იგი საჭიროებისამებრ ყოველთვის იხმარებოდა და იხმარება ამ ენაში. მაგალითი თუნდაც ჩვენი აუდიტორიული საქმიანობიდან: *I think any exam/test is a real challenge. Facing the class can also be a challenge at times.*<sup>5</sup> კიდევ ერთი განსჯითი მაგალითი: ის გარემოებაც, რომ ენაში (და არა მარტო ენაში) სასურველი შედეგის მიღწევა ითხოვს ყოველდღიურ ძალისხმევას, ერთგვარი გამოწვევაა, პიროვნების შესაძლებლობათა გამოცდა. ალბათ ასეთ სიტუაციაში იტყვიან, რომ შემსწავლელი საამისოდ სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული, უნდა ჰქონდეს გარკვეული სტიმიული. *მოტივაცია* ბოლო ხანებში ხშირი ხმარებით გამორჩეული კიდევ ერთი სიტყვაა. ერთიცა და მეორეც (*გამოწვევა, მოტივაცია*) მოიცავს ჯანსაღი შეჯიბრის აზრს, შეჯიბრებითობას და მიღწევადობას (achievement, fulfilment), რაც ცხოვრების გარკვეულ/ახლებურ წესთან ასოცირდება და რაც უდავოდ გასაცნობიერებელი ფაქტორია. აქვეა *ამბიციაცია, ამბიციურობა*. იგი სულ უფრო იმუხტება დადებითი ელფერით, რადგან, ვფიქრობ, საკუთარ ძალებში ჯეროვან რწმენასა და მიზანსწრაფულობაზე მიანიშნებს. შემდგომ: ერთია *security*, როგორც *უსაფრთხოება/უშიშროება თავდასხმისა და სხვა ამგვარი აგრესიის შემთხვევაში* (შდრ. the Security Council, ასევე ახალშექმნილი *cyber-security*); მაგრამ არანაკლები და იქნებ უფრო „ფართო მოხმარებისა“ ხდება *security* როგორც *მატერიალური, ოჯახური, პროფესიული, სულიერი და სხვა სახის დაცულობა, უსაფრთხოება, სიმშვიდე (financial/job etc. security)*. ყოველივე ამით ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები ჩვენს (ქართულ) სინამდვილეში თითქმის ნეოლოგიზმის უღერადობას იძენენ, ამდირებენ მეტყველებას და, რაც მთავარია, გარკვეულწილად აპროგრამებენ ადამიანის საქმიანობას, მის ყოველდღიურობას, რომელსაც იგი მაღალი ალბათობით უკვე სხვაგვარად ხედავს თუ აცნობიერებს და შეძლებისგვარად უკეთესობისაკენ წარმართავს მას. ეს *ლექსიკური ერთეულის შემეცნებითი ასპექტია*, მისი პრაგმატულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

თავისთავად ცხადია, ზემოაღნიშნული სცილდება ნეოლოგიზმის ჩარჩოებს და ზოგადად ენის ლექსიკურ ფონდს მიემართება; და ვიდრე სტატიის (1) ნაწილს შევაჯამებდეთ, ჩავურთავ ციტატას, რომელიც დიდი სიზუსტით ეხმიანება და აერთიანებს წინამაველ და მომდევნო

5 შევნიშნავ, რომ იგივე მნიშვნელობა იკითხება თავად პუბლიკაციის სათაურში *აუდიტორიის პირისპირ*.

აბზაცებში გამოთქმულ აზრს: Language, most naturally, is an intensely human subject, and all words lead finally to man [10, 128].

სიტყვის ქმედითი და გარდამქმნელი ძალა (რომ არაფერი ვთქვათ მის შემეცნებით და მხატვრულ პოტენციალზე) ლექსიკის მეტად საინტერესო და მიმზიდველი მხარეა. ამასთან დაკავშირებით არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა. შევჩერდები უახლეს მასალაზე, რაც უშუალოდ საუნივერსიტეტო საქმიანობას ეხება და რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ინგლისური ენის დინამიზმზე, ლექსიკის გახსნილობასა და სიტყვის მზარდ ინფორმაციულობაზე.

ავილოთ *tenure* – დაბალი სიხშირისა და სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელი. იგი რაიმეს ფლობა-ქონების პირობებსა და ვადებს აღნიშნავს. ფლობის ობიექტი (ანუ ეს რაიმე) ზუსტადაა მითითებული სათანადო წყაროებში. ესაა *სახლი, მიწა, პოლიტიკური თანამდებობა* [10, 1040. 1961 წ.]. ლექსიკონთა გამოცემის თარიღები გვაფიქრებინებს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მოხდა ამ სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება – ხმარებაში დაფიქსირდა ფლობის ახალი ობიექტი/ობიექტები; ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იკითხება განმარტებებში: (AmE) *the right to stay in an office without needing to have a new contract of employment, usu. given after a particular number of years* [11, 1143. 1978 წ.]; ან: ... (chiefly NAm) *freedom from summary dismissal, esp. from a teaching post* [12, 1012. 1982 წ.]; უახლესი ლექსიკონი სიტყვიერად კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ ობიექტს, როცა საუნივერსიტეტო სწავლების სფეროს განუკუთვნებს მას: *the right to stay permanently in your job, esp. as a teacher at university* [5, 1583. 2010 წ.].

ამ დინამიკაში რამდენიმე საყურადღებო მომენტი, კერძოდ კი – ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ინგლისურენოვან სივრცეში სად და როდის გამოიკვეთა ამგვარი უფლების (სასწავლო თანამდებობის ხანგრძლივი ფლობის) საჭიროება და დაერქვა მას სახელი.<sup>6</sup> ამით ენაში დაფიქსირდა ახალი ლექსიკური ერთეული, ამ შემთხვევაში სიტყვის *tenure* ახალი მნიშვნელობა. „თვითდამკვიდრების“ შემდგომი ეტაპი: მოცემული არსებითი სახელი მრავლდება და ქმნის ახალ ლექსიკას – შესიტყვებებს, წარმოებულ სიტყვებს: *ტენურიებული კონტინგენტი/მასწავლებელი/პოზიცია, ტენუარის მექანიზმი* და სხვ.; გარშემო შემოიკრებს სხვა სიახლეებსაც, რაც მას ესაჭიროება სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. ერთ-ერთი მათგანია *peer review*. განმარტება:

6 ამ მიმართებით პასუხის შემცველია მინიშნებები (AmE), (NAm). შდრ. აგრეთვე ამგვარი მინიშნების არქონა [5, 1583. 2010 წ.], რაც სავარაუდოდ მოხმარების გეოგრაფიული არეალის გაფართოებაზე უნდა მეტყველებდეს. ასევე საგულისხმოა დამოწმებულ ლექსიკონთა გამოშვების თარიღები. ისინი ხაზგასმულია და მითითებულ წყაროებს გარკვეული მიზანდასახულობით დაერთვის.

evaluation of a person's work or performance by a group of people in the same occupation, profession or industry [Dictionary.reference.com]. მაშასადამე, ესაა ხარისხის შეფასება / კონტროლი და ამას ახდენს თავად კოლექტივი, ის აკადემიური მიკროსოციუმი, რომელშიც უნივერსიტეტის მასწავლებელი მოღვაწეობს. ეს მოიცავს კოლეგათა ურთიერთშეფასებას (და იქნებ სწორ თვითშეფასებასაც), რაც უდავოდ თავისუფალი ადამიანისა და ამგვარი ადამიანებისაგან შემდგარი კოლექტივის განმასხვავებელი ნიშანია და მისი ღირსების საქმეც. ხარისხის კოლექტიურ შეფასებას გარკვეული წვლილი შეაქვს ტენუარის მექანიზმით კადრების ობიექტურად შერჩევასა თუ შენარჩუნებაში. აი, ამგვარად უზრუნდება tenure მთელი თემატური ჯგუფით საუნივერსიტეტო სინამდვილეს და აკადემიური სივრცის მოწყობის ახლებურ მოდელს სთავაზობს მას, რომლის სათანადოდ დანერგვა, მართლაც რომ დიდი გამოწვევაა...

როგორც მოგახსენეთ, tenure ნაკლებად ხმარებული ერთეულია და ამიტომაც სასწავლო პროგრამაში არ შემხვედრია. ეს სიტყვა განვიხილე, სულ მცირე, ორი მოსაზრების გამო: იგი ლექსიკის დინამიზმის დამაჯერებელი და, ამასთან, ერთ-ერთი უახლესი მაგალითია; და კიდევ: რაც მასთან დაკავშირებით ითქვა, ჩვენი უმაღლესი სკოლის ხვალინდელი დღეა და, ამდენად, მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანი.

სტატიის (I) მონაკვეთში საუბარი იყო ლექსიკის ღიაობაზე სიახლეთა მიმართ, რაც მოიცავდა სტრუქტურულ (ა) და შინაარსობრივ (ბ) მხარეებს. შევეხე სიახლეთა ერთ-ერთ ყველაზე პრაგმატულ ასპექტს, პრაგმატულს იმ გაგებით, რომ ეს სიახლე ჩვენს ყოველდღიურობაზე ახდენს პროეცირებას ყველა აქედან გამომდინარე საგულისხმო შედეგით.

თავისთავად ცხადია, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ასევე მნიშვნელოვანი ის სიახლეებია, რომლებიც უშუალოდ მის აუდიტორიულ საქმიანობას უკავშირდება და თანამედროვე მეთოდის ელემენტებს სთავაზობს მას. ამათგან ზოგი უკვე ნახსენები იყო სტატიის წინამდებარე და ერთიანი ნაშრომის პირველ ნაწილში [1, 315]. საერთოდ, ამ მხრივ EFL მასწავლებელი ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის: არის სასერტიფიკაციო პროგრამების ფართო სპექტრი, სპეციალიზებული პერიოდიკა, მასწავლებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული სემინარები თუ კონფერენციები და ა.შ. ასე რომ, ამ საკითხს აქ მეტად აღარ ჩავუღრმავდები.

## მონაკვეთი (II)

**ლექსიკის ნაკლებსიტემურობა**, დანახული ენის სწავლების კუთხით, ნიშნავს, რომ ლექსიკა უფრო ძნელად ექვემდებარება განზოგადებას, ვიდრე გრამატიკა.

სისტემის მახასიათებელთაგან განზოგადება მეტად მნიშვნელოვანია აუდიტორიულ საქმიანობაში. განზოგადებას შეუძლია მინიმალური ინფორმაციის მიწოდებით ერთიანად მოიცვას ენობრივი რეალობის დიდი სივრცე. მას შეუძლია ერთ წესსა თუ მოდელში მოაქციოს ამ რეალობის ვრცელი სეგმენტები და რაიმე საერთო ნიშანზე დაყრდნობით გადაანაწილოს, ცალკეულ ჯგუფებად, მწყობრად განალაგოს ისინი და ამით შესაბამისი ადგილი მიუჩინოს თითოეულ მათგანს. ამაშია განზოგადება-უნიფიკაციის ძალა, რაც საგრძნობლად აადვილებს როგორც მასალის ახსნასა და სწავლებას, ასევე მის ათვისება-შესწავლას.

ამგვარ „მიმზიდველ“ წესრიგს ვხვდებით მორფოლოგიასა და სინტაქსში: მეტყველების ნაწილები, სხვადასხვა გრამატიკული კატეგორია და მათი უნიფიცირებული ფლექსიები, დროთა ხმარების წესები; წინადადების სახეები, წევრები და ა.შ. იგივეა ფონეტიკაში: ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები, მათი ნაირსახეობანი, ინტონაციის სახეები და შინაარსობრივი დატვირთვა და ა.შ. რა თქმა უნდა, სინონიმები და ანტონიმები, ფრაზოლოგიზმები და შესაბამისი ლექსიკონები, თეზაურუსები უკვე თავისთავად ლექსიკური მასალის მოწესრიგებისა და სისტემატიზაციის განაცხადია. აქვე მოიაზრება სიტყვათა შინაარსობრივ თუ ფუნქციურ ერთგვაროვნებაზე აგებული სხვადასხვა (ვთქვათ, მოძრაობის გამომხატველ ზმნათა, ადამიანთა ნათესაობრივი კავშირების აღმნიშვნელი და ა.შ.) ლექსიკურ-სემანტიკური ველი. ყოველივე ეს, მართლაც, უკვე წესრიგია ლექსიკის ვრცელ სივრცეში და იმავდროულად ეს ასახსნელი მასალის კონკრეტიზაციის გზაცაა. თეორიის ენით რომ ვთქვათ, ეს ლექსიკური პარადიგმატიკაა, ეს არის ის, რაც ლექსიკას იშვიათ სიმწყობრესა და სისტემურობას ანიჭებს; მაგრამ პარადიგმატიკა, ლექსიკური იქნება ეს თუ გრამატიკული, ენის ვერტიკალური განზომილებაა, სადაც მოქმედებს არჩევითობა, მოქმედებს პრინციპი ან ... ან ... : რომელია მოცემულ შემთხვევაში სწორი – *to walk* თუ *to stroll*? *incapable* თუ *\*uncapable*? *ჩუმი* თუ *წყნარი*? ან, გნებავთ, გრამატიკის სფეროდან: *your vs yours*; *დედამ უთხრა თუ \*დედა უთხრა?* და ა.შ.<sup>7</sup>

კვლავ შევნიშნავ, რომ ეს თეორიაა და რომ პრაქტიკული თვალსაზრისით აქ არსებითად ახალი არაფერია. მასალის თემატური პრინ-

7 ვარსკვლავით (\*) აღნიშნულია მცდარი ფორმები/წინადადებები.

ციპით დალაგება და მიწოდება, მეტი გარკვეულობა სინონიმის, სიტყვათქმნადობისა და სხვა ამგვარ ნიუანსებში ყოველთვის იყო ლექსიკის ათვისებისა და, ზოგადად, ენობრივი კომპეტენციის სრულყოფის ერთ-ერთი საშუალება; მაგრამ ჩვენ არ ვმეტყველებთ პარადიგმატიკის ენით (თუმცა პარადიგმატულ კავშირთა ცოდნა სიზუსტით მეტყველების განუყოფელი ნაწილია. ამ საკითხს ქვემოთ შევეხები) და ამ სრულყოფის პროცესში დასაძებნია განზოგადების სხვა გზებიც, რაც არ არის მარტივი საქმე.

სირთულის მთავარი მიზეზი, ჩანს, ლექსიკური მნიშვნელობის სპეციფიკაა. გრამატიკასთან შეპირისპირება ამას საკმაოდ კარგად წარმოაჩენს: გრამატიკული მნიშვნელობა განყენებულია (მრავლობითობა, მომავლობა, გარდამავლობა და სხვ. აბსტრაქციაა), მას არ გააჩნია კონკრეტიკა – არ არსებობს საგანი, მოვლენა თუ სხვა რამ, რასაც სახელად ჰქვია -ed, -s, ან, გნებავთ, -est და სხვ., რის გამოც თითოეული მათგანი სიტყვათა განუსაზღვრელ რაოდენობას „მოერგება“ და მიესადაგება. გრამატიკა ალბათ ამიტომაც ადვილად ექვემდებარება განზოგადებას, აღსაქმელად იოლია და ამასთან – სასრული. რაკი ერთხელ სტუდენტს სწორი მიმართულება მიეცა, სრულდება გრამატიკის კურსი, შემდგომში იგი (სტუდენტი), საჭიროებისამებრ, თავად ხვეწს და აღრმავებს სისტემურ ცოდნას.

გრამატიკისაგან განსხვავებით, ლექსიკა უსასრულოა, სიტყვათა ნაკადი – უღევი და ამასთან მზარდი (შდრ. ლექსიკის ღიაობის მახასიათებელი). ამდენად, აქ იმთავითვე გამორიცხულია მოლოდინი, რომ მასალა ამოიწურება და ამით მიზანიც მიიღწევა (ცხადია, აქ სემესტრული და წლიური სასწავლო პროგრამები არ იგულისხმება). ლექსიკური მასალა მეტი კონკრეტიკით ხასიათდება და სხვაგვარად „იმართება“. ლექსიკური ერთეული, თუ შეიძლება ითქვას, „ინდივიდუალისტურ“ მიდგომას ითხოვს – ზოგადად ყოველ ახალ სიტყვას (და არა მხოლოდ მას) ზეპირად დასწავლით უფრო „მოეველება“, ვიდრე წესების „მორგებითა“ და განსჯა-გააზრებით, ვთქვათ, ამგვარით: *წესის თანახმად აქ რომელი დრო უნდა ვიხმარო Present Continuous თუ Present Perfect Continuous? ან იქნებ Simple Present?* ვიხსენებთ ნასწავლს და ვმოქმედებთ შესაბამისად. ეს მომენტი ლექსიკა-გრამატიკის შეპირისპირებაში უდავოდ არის; და, რაც მთავარია, გრამატიკულ წესს, ერთხელ ნასწავლს, განუსაზღვრელი რაოდენობის მაგალითი ექვემდებარება. აქ ჩანს განზოგადების ყოვლისმომცველი ძალა (the sweeping power of generalization). ლექსიკური სიზუსტე ხშირად ასევე საჭიროებს ანალიტიკურ მიდგომას, ახსნას, გააზრებას, მაგრამ აქ მასალა უფრო კონკრეტულია და, თუ შეიძლება ითქვას, „ინდივი-

დუალიზებული“; მსჯელობაც მეტწილად ცალკეული შემთხვევითაა შემოფარგლული თუ ზღვარდადებული, რაც ლექსიკის სირთულეზე მეტყველებს. უმარტივესი მაგალითები: წყნარი vs ჩუმი – ამათგან მეორე უარყოფითი ელფერის შემცველია; beautiful და pretty სილამაზეს, თვალისათვის საამო ნიშან-თვისებას აღნიშნავენ, მაგრამ პირველი სულიერ მშვენიერებასაც მოიცავს და ა.შ.

ლექსიკისა და გრამატიკის ამ გზაგასაყარზე თითოეული მასწავლებელი თავადვე ირჩევს ეფექტური სწავლების მისთვის მისაღებ გზას. მე ჩემს, აუდიტორული მუშაობის საფუძველზე შემუშავებულ აზრს გაგიზიარებთ. ვფიქრობ, საკითხი ასე დგას: რა არის ის, რაც, მიუხედავად ყოველგვარი კონკრეტულობისა, ზოგადია, რაც არასოდეს კარგავს აქტუალობას და მუდმივად უნდა მეორედბოდეს ტექსტზე მუშაობის პროცესში; ის, რაც არა მარტო ლექსიკურ სიზუსტეს უნდა უზრუნველყოფდეს, არამედ ტექსტთან ურთიერთობის სამომავლო ჩვევებსაც უნდა უყალიბებდეს სტუდენტს? პასუხი მარტივია – ესაა საანალიზო სიტყვის გარემოცვა და აუცილებლობა სტუდენტის ყურადღება მივმართოთ (to sensitize students to) ამ გარემოცვისაკენ.

სიტყვათა დიდ უმრავლესობას სრულყოფილი რეალიზაციისათვის ესაჭიროება საკუთარი მიკროკონტექსტი – მისი მარჯვენა თუ მარცხენა გარემოცვა, „პარტნიორი“ (right-/left-hand partners, ანდა, გნებავთ, უფრო მეტყველი გერმანული ტერმინი Mitspieler – თანამოთამაშე); ერთად კი მათი (ორივე „პარტნიორის“) ფუნქცია ისაა, რომ სტუდენტმა სხარტად/უმალვე გაიხსენოს ის, რაც ერთობლიობაში უსწავლია, რაც საჭიროების შემთხვევაში „მზა სახით“ ამოიზიდება მეხსიერებიდან და ასევე მიეწოდება მას. ეს ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ წარმატებით შედგეს საკომუნიკაციო აქტი, სტუდენტმა ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში (და ეს აქტიური უნარ-ჩვევებია) უდანაკარგოდ და სიზუსტით გადმოსცეს სათანადო ინფორმაცია. უმარტივესი მაგალითები: a tall man vs a short man (და არა \*a low man); to ask sb. sth. vs to ask sb. for sth. (He asked me for money/help და არა \*He asked me money/help)<sup>8</sup>. მაგალითი სახელმძღვანელოდან: I asked for a discount, but the shop assistant said no [7, 172]. უფრო რთული ლექსიკური ერთეული: to suggest sth. (a plan/an idea), to suggest doing sth, to suggest that...

ამრიგად, ვიმანსოვრებთ, ვსწავლობთ ახალ სიტყვას მისი „საარსებო მინიმუმითურთ“ და არა ამ მინიმალური კონტექსტიდან ამოღებითა და განცალკევებით. მაგალითად, unspoilt და მხოლოდ თარგმა-

8 ამ უკანასკნელ მაგალითში ნათლად ჩანს ინტერფერენციის კვალი: *მოხოვა რა?* (ქართულში პასუხი პირდაპირ დამატებას ითხოვს, ხოლო ინგლისურში – წინდებულობას).

ნი თუ განმარტება (რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით პრაქტიკაში): unspoilt/unspoiled – (of a place) beautiful because it has not been changed or built on [5, 1681]. აუდიტორიული მუშაობის სპეციფიკა უფრო მეტს ითხოვს; სასურველია აქვე დაერთოს: (vast stretches of) unspoilt countryside; an unspoilt nook in the midst of a fast-changing megalopolis და სხვ. მაშასადამე, „ინდივიდუალისტურ“ მიდგომას და ცალკე ერთეულის სახით დასწავლას, სიტყვასთან ერთად, საჭიროებს მისი გარემოცვა, მიკროკონტექსტი. ამ სახის ცოდნა საგრძნობლად ზრდის სტუდენტის ენობრივ კომპეტენტურობას, რასაც იგი კარგად ხვდება და რაც აკადემიურ თავდაჯერებულობასა და სიმშვიდეს (academic security) ანიჭებს მას. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი სწავლების, ახალგაზრდის ღირსებით აღსავსე მოქალაქედ და პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესში.

უშუალო გარემოცვას, სადაც სიტყვა ძალას იძენს/იკრებს, ყოველთვის ეთმობოდა სათანადო ყურადღება როგორც სწავლების მეთოდოლოგასა და თეორიაში,<sup>9</sup> ასევე ტრადიციულ თუ ახალი თაობის სახელმძღვანელოებში, სალექსიკონო სტატიებში და, საერთოდ, ლექსიკოგრაფიაში (იდიომათა, შესიტყვებების/collocations და სხვ. სახის ლექსიკონები). აქ მხოლოდ საკითხის პრაქტიკულ მხარეზე შევჩერებ ყურადღებას.

საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი კონფერენციის სტუმარმა, კემბრიჯელმა ქალბატონმა სუზან შირინმა, რამდენიმე სექციური მეცადინეობა მიუძღვნა ლექსიკის თემატიკას. იგი თავადაც ინგლისურს ასწავლის და მისი აზრი მით უფრო საგულისხმოა და ყურადსაღები: Vocabulary is very far from being single words; და აქედან უშუალოდ გამომდინარე კითხვა: What other words are likely to occur with this or that word? დასახელდა ორი უმარტივესი არსებითი: butter, egg და მათი მსაზღვრელების ძიებაში აუდიტორიაც ჩაერთო: fresh/rancid butter; fresh/addled eggs. პასუხი ღირდა დაფიქრებად, მიკროკონტექსტი კი – დამახსოვრებად...<sup>10</sup>

დავუბრუნდები მსჯელობის ძირითად ხაზს.

მაშასადამე, ლექსიკისა და გრამატიკის ამ გზაგასაყარზე, თეორიული ტერმინოლოგია რომ მოვიშველიო, მივმართავ სინტაგმატიკას, უფრო მარტივად, ვირჩევ სიტყვათა ბმულობას/chunks<sup>11</sup>, მათს

9 უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს მიკროსინტაქსური კვლევის სხვადასხვა ასპექტი, ასევე ვალენტობის თეორია.

10 მკითხველი, შესაძლოა, სხვა მხრივაც იცნობდეს ს. შირინს – იგი არის პოპულარული სახელმძღვანელოს *Spotlight on Britain* ერთ-ერთი ავტორი.

11 ტერმინი chunk, შესაძლოა, არ არის საუკეთესო, მაგრამ ტევადია: მასში მოიაზრება არა მარტო შესიტყვებათა სახეობები (phrases, collocations და სხვ., რომელ-



ხაზობრივ განფენილობას მარცხნიდან მარჯვნივ, ან პირუკუ, რაც მთლიანობაში ენის ჰორიზონტალურ განზომილებას შეადგენს.<sup>12</sup> ეს ფაქტობრივად არის ენა, გარდაქმნილი მეტყველებად, ეს ენის კომუნიკაციური ფუნქციაა მოქმედებაში და ამ ფუნქციის რეალიზაცია. დაბოლოს, ეს სრულად თანხვედრა იმას, რაც კომუნიკაციის აქტის არსს წარმოადგენს: მეტყველება, წერიტი იქნება ეს თუ ზეპირი, სიზუსტეს ითხოვს და მას სტუდენტი გააზრებით, გულისყურით უნდა ეუფლებოდეს. ეს ლექსიკის შესწავლის საიმედო გზაა, რომელსაც თან გარკვეული სირთულეებიც ახლავს. კერძოდ, აუდიტორიაში მუდმივად აქტუალურია, თუ როგორ უზრუნველვყოთ საანალიზო ერთეულის საიმედო დამახსოვრება და წერიტსა და ზეპირ მეტყველებაში მისი სიზუსტით გადატანა.

შეზღუდული დროის პირობებში საჭიროა ამ საქმეში ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსის ჩართვა, ყველა საშუალების ამოქმედება. ასეთი ძირითადად ორია: (1) სმენითი და (2) ვიზუალური/თვალსაჩინოებითი საშუალებანი.

(1) აქ იგულისხმება აუდირება, კომპაქტდისკების, მასწავლებლის/თანაჯგუფელთა მეტყველების მოსმენა (peer-teaching/learning). აუდირება მოსმენის პასიურ უნარ-ჩვევას განამტკიცებს, მაგრამ იგი ამასთანავე ფონეტიკურ და ლექსიკურ-გრამატიკულ სიზუსტესაც ემსახურება – მოსმენის პროცესში გონებაში იმთავითვე აღიბეჭდება სწორი ბგერა, ინტონაცია, ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები, გრამატიკული ფორმები. ხმის, მოსმენის ჩართვა მასალის განმტკიცების თვალსაზრისით და ზეპირმეტყველების დასახვეწად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ხშირად ვურჩევ წესად დაიდონ „თვითმოსმენა“ – იკითხონ ტექსტი და დაისწავლონ სიტყვარი ხმით და არა მდუმარედ, ისე, რომ საკუთარმა ბაგემ წარმოთქვას, ყურმა კი გაიგონოს სიტყვა თუ გონებაში ჩამოყალიბებული აზრი. ვფიქრობ, ეს მით უფრო მიზანშეწონილია, რომ კომუნიკაციის აქტი, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკს, საუბრის წარმართვას გულისხმობს. ინფორმაციის მიღების ორი ძირი-

თა შორის ზღვარი ზოგჯერ რთული დასადგენია), არამედ სხვა სახის პოტენციური მიკროკონტექსტიც, მათ შორის – მოკლე წინადადება [5, 269]. ამგვარი მოცულობითი მახასიათებელი სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რაც აქ სიტყვათა ბმულობას აქვს დაკისრებული.

12 ლექსიკისა და გრამატიკის ამგვარი გამიჯვნა-დაპირისპირება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს და იგი ლექსიკის სპეციფიკის წარმოჩენას ისახავს მიზნად. გამიჯვნის პირობითობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სინტაგმატიკის/„პარტნიორთა“ მოხმობით ჩვენ უკვე გრამატიკის (ძირითადად, მიკროსინტაქსის) „სამფლობელოში“ გადავდივართ. შდრ. თუნდაც იგივე წინდებულებანი მართვა: to ask for; მსაზღვრელის არჩევითობა: tall vs low/short+noun; წინსწრებით დავიმოწმებ მომდევნო მსჯელობაში წარმოდგენილ მაგალითებს და სქემებს მაგალითებითურთ.

თადი არხის – ვიზუალურისა და სმენითის – გაერთიანება არსებითად განაპირობებს წარმატებულ კომუნიკაციას.

(2) აქ შედის, ერთი მხრივ, ა) ნაბეჭდ ტექსტთან სტუდენტის ურთიერთობისა, მეორე მხრივ – ბ) სიტყვარის წარმოების კულტურა/მეთოდი.

ა) ნაბეჭდ მასალასთან ურთიერთობა გულისხმობს გრაფიკულ ნიშანდებებს/კოდირებას – მასალის დამუშავების პროცესში გრაფიკული ელემენტების (სხვადასხვა სახის ხაზგასმების, აღნიშვნა-მინიშნებების) და ფერადი კოდის ჩართვას.

ვიზუალური, თვალით აღქმადი, მოცემულ შემთხვევაში არის ტექსტი და მისი თანმხლები სავარჯიშოები. ტექსტი ლექსიკით ამარაგებს სტუდენტს. ლექსიკური მარაგი, სიტყვარის მოცულობა (vocabulary range) ენის ფლობის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია და, ამასთან, შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი. საკითხი ასე დგას: როგორ უნდა მივუდგეთ ნაბეჭდ მოცემულობას, რომ სათანადო ლექსიკურმა (თუ გრამატიკულმა) მასალამ თავი დაგვამახსოვროს, რომ იგი, რადგან აქ მხედველობით აღქმაზეა საუბარი, თვალში მოგვხვდეს?

პასუხი შეგვიძლია თავად წიგნში მოვიძიოთ – ესაა გრაფიკული საშუალებანი: მსხვილი შრიფტით, ხაზგასმით ან ცერად დაბეჭდვით გარემომცველი ტექსტისაგან კონკრეტული მასალის გამოყოფა (თუმცა ამას იშვიათად და არათანმიდევრულად მიმართავენ ავტორები). ტექსტთან ნაცნობობის საწყის ეტაპზე მთავარი და არსებითია, დავძებნოთ უცნობი სიტყვები, რომელთა ზუსტ რაოდენობას ვერც ერთი ავტორი თუ მასწავლებელი ვერ დაუდგენს შემსწავლელს, ამას თავად შემსწავლელი წყვეტს ინდივიდუალურად: არის ის, რაც უმრავლესობისთვისაა უცნობი, და არის ის, რაც მხოლოდ ცალკეულ სტუდენტს უქმნის სირთულეს და ითხოვს მისგან ყურადღებას.

შენიშვნა 3. კითხვის რამდენიმე სახეობა და გამიზნულობა არსებობს და უცნობი სიტყვებისადმი მიდგომაც არაერთგვაროვანია. კითხვა პასიური უნარ-ჩვევაა და ამგვარი დეტალები სცილდება აქ დასმულ საკითხთა სფეროს. აქ მხოლოდ იმაზეა ყურადღება გამახვილებული, თუ როგორ, რა გზებით შეიძლება „არგოს“ საკითხავმა მასალამ მეტყველების სიზუსტეს და ტექსტზე მუშაობის სათანადო ჩვევები ჩამოუყალიბოს მას.

მაინც რაგვარ ყურადღებას ითხოვს ჩვენგან ახალი მასალა?

ესაა, როგორც ითქვა, გრაფიკული ნიშანდება, მინაწერები (წიგნში), ესაა სიტყვარის შექმნა, ე.ი. რვეული, სადაც ასევე აქტუალურია ნიშანდება. სტუდენტი გრაფიკულ საშუალებათა მდიდარ სპექტრს ფლობს. ეს მისი სამუშაო იარაღებია (working tools): ფანქარი, სხვადასხვა ფერის კალმისტარი და ე.წ. „მარკერები“ (high-lighters), ასევე სხვა-

დასხვა სახის ხაზგასმა (სწორი, კლაკნილი ხაზი და ა.შ.). „იარაღის“ და ფერის არჩევანს საანალიზო ერთეულის სირთულე განაპირობებს.

ამგვარი დეტალიზაცია შემთხვევითი არაა. ზოგიერთი სიტყვა განსაკუთრებით რთული დასამახსოვრებელია (ჩვენ მათ შინაურულად „ურჩ სიტყვებს“ ვუწოდებთ – nasty-to-remember words) და მათ ალბათ რომელიმე ფერადი კოდით უფრო „მოეველება“. სასურველია გამოვიყენოთ რაიმე მკვეთრი ფერი და ეს ფერი ბოლომდე დარჩეს სირთულის მაღალი ხარისხის მიმნიშნებლად. გრაფიკული ნიშანდება არა მარტო ლექსიკური, არამედ სხვა სახის (გრამატიკული, ფონეტიკური, მართლწერასთან დაკავშირებული) სირთულებების დაძლევაშიც დაგვეხმარება. გადავხედოთ შუალედური დონის ტექსტებიდან ამოღებულ მასალას:

1. Most people incorrectly think the brain is resting or recuperating during sleep (...). Your brain ... is like a cluttered desktop at the end of the day [3, 107].

2. ... they (the Bhutanese) live in harmony with nature and their environment remains pristine [7, 79].

3. Strangely noble, he seemed immune to endless motion of the airport around him [7, 62].

4. Live Aid started new ways of thinking and behaving – in broadcasting, in putting political pressure on governments and in raising money [2, 108].

5. ... a hotter ocean breeds fiercer cyclones and hurricanes. It surrenders greater quantities of water as evaporation, and more powerful winds dump this water against mountainsides with increasing fury [6, 89].

დაინტერესებული შემსწავლელი მოცემულ ნაწყვეტებში ადვილად მოიძიებს როგორც უცნობ, ასევე კარგად ნაცნობ, მაგრამ ბმულობაში „პარტნიორის“ (წინდებულის, პირდაპირი დამატების და სხვ.) არჩევანით ყურადღაღებ მასალას (ხაზგასმულია). ამგვარი რამ სხვაც ბევრია, მიმოხედილი საკითხავსა თუ მოსასმენ ტექსტებში, სავარჯიშოებში: a person's privacy has been invaded; to charge sb. with assault; you're over your overdraft limit by more than £200. “What are you up to later?” To shorten one's life expectancy; people suffering in a terrible famine (in Sub-Saharan Africa); to suffer from a terrible headache/from pricks of conscience; to sell things on eBay; intelligence [7] და ა.შ.

ყოველივე ეს, და არა მარტო ეს, აღმოსაჩენია და სიზუსტით დასამახსოვრებელი, დასასწავლი. სიზუსტით ინფორმაციის აღქმა (კითხვა, მოსმენა), რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია; მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია და გაცილებით უფრო რთული ის, რაც აქ განიხილება – სიზუსტით ინფორმაციის გადაცემა – ლაპარაკი და წერა. ამიტომაც სირთულის გადასალახავად და ლექსიკური მარაგის სათანადოდ

ათვისებისათვის მივმართავთ კიდევ ერთ რესურსს – რვეულს. მანამდე კი დავძენ, რომ, როცა რაიმე სახის ინტენსიურ ანალიზზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს პროგრამული ტექსტიდან მასწავლებლის მიერ შერჩეული ესა თუ ის მონაკვეთ(ებ)ი (და არა მთელი ტექსტი). უნდა გვანსოვდეს, რომ შეზღუდული დროის ფარგლებში მთავარია, როგორც ითქვას, ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევების დანერგვა, ანუ ის, რაც სამომავლოდ სწორ მიმართულებას მისცემს შემსწავლელს, რაც ტექსტთან ურთიერთობის ძირითად პარამეტრებს გააცნობს ინგლისური ენის მომავალ სპეციალისტს. პირველი ნაბიჯები, სასურველია, უმაღლესე გადაიდგას – სასურველია სტუდენტმა ტექსტში თავადვე შეარჩიოს გარკვეული მოცულობის ყურადსაღები მასალა და შეძლებისამებრ დაამუშაოს იგი (იგულისხმება უცნობი ლექსიკა, სიტყვათა ბმულობა, წინდებულიანი მართვა და ა.შ.).

ბ) რვეული თვალსაჩინოებისა და ენის სიზუსტით დაუფლების უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი საშუალებაა.

რვეული გრამატიკული თემების სისტემატიზაციაზე საუბრისას ნაშრომის პირველ ნაწილშიც იყო ნახსენები.<sup>13</sup> ლექსიკაში მას ძირითადად სიტყვარისთვის ვიყენებთ. სიტყვარის საჭიროებაზე უცხოელი სპეციალისტებიც მიუთითებენ. აქ მთავარი ისაა, რომ შემსწავლელმა სწრაფად მოიძიოს (to easily retrieve) მის მიერვე აღნუსხული ლექსიკური ერთეული. მეტწილად გამოყოფენ სიტყვარის ორგანიზაციის მორფოლოგიურ პრინციპს: ერთმანეთისაგან განცალკევებითაა დალაგებული არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი და ა.შ. ალბათ, სანიშნიც გაუადვილებდა სტუდენტს სიტყვის მიგნებას. ამგვარ საკითხებს მასწავლებელი თავად, ინდივიდუალურად წყვეტს. გამოცდილების საფუძველზე ვამჯობინებ სიტყვები თემატური ერთეულების (units) მიხედვით დავალაგო; თუმცა იმგვარი რთული ენობრივი მოვლენა, როგორცაა ფრაზული ზმნა (ან, ზოგადად, იდიომები; ან, გნებავთ, წინდებულიანი მართვა), ვფიქრობ, არ უნდა „ჩაიკარგოს“ სიტყვათა ნუსხაში – მას ცალკე უნდა დაეთმოს რვეულის რამდენიმე ფურცელი.

სიტყვარის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ბოლოხანს გამოყენებული სახელმძღვანელოებიდან დავასახელებ ორს: [7] – ყოველი თემატური ერთეული მთავრდება სიახლეთა შემაჯამებელი ნუსხით; [6] – წიგნის ბოლოში (ფერადი კოდით) წარმოდგენილია სიახლეთა ფართო სპექტრი და ნუსხა. დაისმის კითხვა: რალა საჭიროა რვეული? იგი საჭიროა, რადგან ყველა სახელმძღვანელო არ იძლევა სიტყვარს; ანდა,

13 არის ერთი ყოფითი დეტალი: ზოგჯერ სტუდენტს წიგნის ნაცვლად ლექციებზე შესაბამისი მასალის ე.წ. ქსეროასლი მოაქვს. თუ ეს გარდუვალია, სასურველია, ასლის მეორე გვერდი თავისუფალი დარჩეს – იქ სათანადო ჩანაწერები გაკეთდება და ამით ასლი შემსწავლელს რვეულის მაგივრობასაც გაუწევს.

თუ იძლევა, ახსნა და მაგალითები იშვიათად დაერთვის ლექსიკურ ერთეულს, ეს მონაცემები წინამავალ მასალაში – ტექსტებსა და სავარჯიშოებშია მიმოხილული. ესეც რომ არ იყოს, დაწერა არა მხოლოდ ვიზუალურ, არამედ გონებრივ ჩართულობასაც ითხოვს; გონებაში აღბეჭდილს კი სტუდენტი უკეთესად და ხანგრძლივად დაიმახსოვრებს.

როგორ და რა აღვწეროთ რვეულში ისე, რომ გარკვეულწილად მოიხსნას სირთულეები, როგორ შევადგინოთ თემატურ ერთეულებზე და მათში შემაჯავალ გაკვეთილებზე მორგებული, ადვილად დასამახსოვრებელი სიტყვარი (how to build up a better-to-remember vocabulary)? ზოგადი პასუხი: უნდა გვახსოვდეს, რომ ვმუშაობთ არა ტექსტის უშეცდომოდ გაგება-მიხვედრაზე (პასიური უნარ-ჩვევა), არამედ ტექსტის შეძლებისამებრ უშეცდომოდ, სიზუსტით შექმნა-შედგენაზე (აქტიური უნარ-ჩვევა).

კონკრეტული პასუხი უფრო ვრცელია:

ცხადია, დავიხმარებთ იმავე გრაფიკულ ნიშანდებსა, რომლის არჩევანი აქ, რვეულში, უფრო დიდია: ასომთავრულით, მსხვილი შრიფტით რაიმეს გამოყოფა, დანართი სქემების სახით (ნიმუშები იხ. ქვემოთ) და სხვ.; მაგრამ არის თვალსაჩინოებისა და საიმედოობის სხვა საშუალებანი: ჩანაწერს ვაწარმოებთ გაშლილ რვეულში, ერთდროულად მის ორსავე მხარეს, მარცხენა და მარჯვენა გვერდებზე. მარცხენა გვერდზე, წესისამებრ, საანალიზო ერთეული დაფიქსირდება, რასაც აქვე, ამავე გვერდზე, დაერთვის ინგლისური და, საჭიროებისამებრ, ქართული განმარტება და ასევე საჭიროებისამებრ – ტრანსკრიფცია; აგრეთვე: წინდებულები, არტიკლი და სხვ., – ყოველივე ის, რაც მხოლოდ შესიტყვებებში, სიტყვათა ბმულობაში „იჩენს თავს“ და დიდწილად განსაზღვრავს მეტყველების სიზუსტეს.

საანალიზო ერთეულის გასწვრივ, მარჯვენა გვერდზე, პირობითი სახელწოდებით Word Power, აღინუსხება მასალა, რომელიც წარმოაჩენს ამ ერთეულს, ასე ვთქვათ, „მოქმედებაში“ – ესაა მაგალითები, მიკროკონტექსტი, ის, რაც სრულ წარმოდგენას უქმნის შემსწავლელს, თუ როგორ ხდება შესაბამისი ერთეულის რეალიზაცია მეტყველებაში. ამგვარად დამუშავებული მასალა უკვე „მზადყოფნაშია“, რომ სიზუსტით ჩაერთოს ზეპირ თუ წერით მეტყველებაში და ითხოვს ამ ჩართვას. ეს უკანასკნელი, როცა იგი შედგება, განამტკიცებს, ერთი მხრივ, მასალის ცოდნას, მეორე მხრივ – სტუდენტის ენობრივ კომპეტენციას, მის თავდაჯერებულობას აღნიშნულ საკითხში, მოტივაციას – ილაპარაკოს და წეროს თამამად, აღმოაჩინოს საკუთარი მეტყველების სუსტი და ძლიერი მხარეები...

გადავანაწილოთ ზემოთქმული რვეულის ორ გვერდზე და წარმოვადგინოთ სქემის სახით.<sup>14</sup>

სქემა 1.

მარცხენა გვერდი

მარჯვენა გვერდი

№	English	Georgian/English	Word Power
1	hectic	დაძაბული, შფოთიანი, მღელვარებით აღსავსე	a hectic day; to lead a hectic life; to have a hectic time
2	to bid, bid, bid / bade, bidden	ფასის შეთავაზება აუქციონზე	One man bid/bade (offered to pay) £ 500 for a small antique chair at an auction [7, 93].
3	experience	1. (UN) გამოცდილება 2. (CN) ამბავი; ის, რაც გადაგხდა; პირადად განცდილი რამ.	1. With years she gained a lot of/much valuable experience. 2. It was a wonderful/terrible experience. I had a very strange experience the other day [3, 132]. Tourists .... are so interested in new experiences and sensations [2, 75].
4	international [ˌɪntəˈnæʃənəl]		... international phone calls usually had to be blocked [2, 108].
5	to show ✓ (great) respect <u>for</u> sb/sth.		
6	to have <u>a</u> good time		

მაშ, თანდართული ინფორმაციის მეშვეობით რა ძალას იძენს საანალიზო ერთეული? რაგვარ სიზუსტეს გადასცემს იგი სტუდენტს?

ა) ლექსიკურს (აქ: hectic), განმტკიცებულს მიკროკონტექსტით (მოცემულ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის ბმულობით: a hectic day და სხვ.);

ბ) გრამატიკულს (აქ: to bid). შეიძლებოდა ამ ზმნის განვრცობა ლექსიკური პარამეტრით (მაგ. a bid, a bidder და ა.შ.), მაგრამ ხმარების

14 მოკლე კომენტარი: სასურველია, საანალიზო სიტყვები არა მიჯრით, არამედ ერთმანეთისაგან დაშორიშორებით ჩამოვწეროთ. სინალვათე (spacing words) ასევე უწყობს ხელს დამახსოვრებას. UN – uncountable noun, CN – countable noun. ინგლისური განმარტება სავალდებულო და თავისთავად ცხადი მოცემულობაა, რის გამოც აქ მხოლოდ ქართული თარგმანით შემოვიფარგლები.

დაბალი სიხშირის გამო ეს არ შედგა. საკუთარი შეხედულებისამებრ, სიტყვის გასაძლიერებლად (შდრ. გვერდის სახელწოდება Word Power) მასწავლებელს თუ შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია საანალიზო სივრცეში ჩართოს სასურველი დამატებითი ინფორმაცია;

გ) ლექსიკურ-გრამატიკულს (აქ: experience). ეს ნიმუში ერთდროულად გრამატიკულიცაა და ლექსიკურიც. ლექსიკურია იმიტომ, რომ სტუდენტები თითქმის არ იცნობენ სიტყვის მეორე მნიშვნელობას და იშვიათად განასხვავებენ პირველისაგან (მასაც გამოცდილებად მიიჩნევენ). ამგვარი აღრევა მით უფრო დაუშვებელია, რომ ამ არსებითი სახელის მნიშვნელობათა შორის არის ასევე გარკვეული ხასიათის გრამატიკული განსხვავება, რაც მითითებულია სქემაზე (UN vs CN) და რაც შემდგომ, ბმულობაში, შესიტყვების დონეზე ადვილად გადაიქცევა შეცდომად. მხედველობაში მაქვს ნაცვალსახელურ მსაზღვრელთა much, few და სხვ. უმართებულო ხმარება. ეს გრამატიკის საკითხია – ლექსიკა და გრამატიკა აქ ერთობლიობაში ქმნის მეტყველების სიზუსტეს.

დ) ფონეტიკურს (international, ან, გნებავთ, national, multinational). წარმოებული სიტყვები არ მისდევენ ძირეული სიტყვის ფონეტიკურ მოდელს. შდრ. nation გამოთქმაში შეიცავს დიფთონგს [ei] / [neɪʃən], საანალიზო სიტყვაში კი დიფთონგს მონოფთონგი [æ] ჩაენაცვლება: [ɪntəˈnæʃənəl]. რაც შეეხება მნიშვნელობას, იგი ყველამ კარგად იცის, ამიტომაც არ ახლავს არავითარი თარგმანი ან განმარტება.<sup>15</sup>

მოცემული დ) პუნქტი ნიმუშია იმისა, რომ სიტყვარი და, საერთოდ, რვეული არ უნდა იყოს გამიზნული მხოლოდ უცნობი ლექსიკური ერთეულებისათვის. ესაა ერთგვარი მეგზური, ცნობარი, და იგი თანაბრად უნდა იტევდეს ენის ყველა დონის სირთულესა თუ სტუდენტისაგან მოსალოდნელ გადაცდომას.<sup>16</sup> არც სამივე გრაფის შევსებაა სავალდებულო, თუკი შემსწავლელი ვერ ხედავს ამის აუცილებლობას. კიდევ ერთი მოსაზრება, რისთვისაც ხსენებული სიტყვა მოხვდა რვეულში: იგი ხმარების მაღალი სიხშირით გამოირჩევა და შედეგად შეცდომაც ხშირია; წერილობითი ფორმით დაფიქსირება კი (და, ალბათ, რაიმე გრაფიკული სახით ნიშანდებაც), ვფიქრობ, უკეთ შეუწყობს ხელს შეცდომის აღმოფხვრას; თუმცა აღნიშნულ საკითხს წიგნ-

15 ეს არ არის სრული ნუსხა. საანალიზო საკითხთა რავგარობას და რაოდენობას კონკრეტული სიტუაცია (აუდიტორიის აკადემიური დონე, დროის ფაქტორი, მასალის სირთულე და სხვ.) განაპირობებს.

16 შეცდომის მოსალოდნელობას მასწავლებელს, ჩვეულებრივ, გამოცდილება კარნახობს. ეს გამოცდილება ერთენოვან აუდიტორიაში გარკვეულწილად ინტერფერენციისა და, ზოგადად, შეცდომათა ტიპოლოგიის პრობლემატიკას უკავშირდება, რაც ცალკე განხილვის საგანია.

შიც ადვილად „მოევლებოდა“; თუ შესაბამის მარცვალს თვალსაჩინოდ დავაწერდით თავზე სათანადო ბგერით ნიშანს [æ].

წიგნშივე მოევლებოდა მომდევნო ორ პუნქტს (5 და 6), სადაც ნიშანდებას ითხოვს: წინდებულისანი მართვა, ანუ თავად წინდებულის: ... respect for, განუსაზღვრელი არტიკლის ხმარება: ... a good time და მისი არხმარება: to show ✓ respect... საგულისხმოა ნიშანი ✓ – a tick (მეტი სიცხადისათვის მას შეიძლება წრეც შემოვავლოთ ან ფერადად გამოვყოთ). საერთოდ, ნებისმიერ ნიშანდებას პრობლემურ სეგმენტებში მოვიშველიებ, მას გამაფრთხილებლის როლი აკისრია, მით უფრო – ამ უკანასკნელს. იგი არტიკლის, წინდებულისა თუ სხვა, შემსწავლელის აზრით, საჭირო, მაგრამ სინამდვილეში ზედმეტი სიტყვის გამორიცხვაზე მიუთითებს. მეტყველების სიზუსტის თვალსაზრისით ეს შეიძლება მეტად ყურადსაღები „სიცარიელე“ აღმოჩნდეს. მაგ.: I wish I was studying ✓ Italian literature [3, 127]. We usually have mid-term tests twice ✓ a year. აქ შეგვიძლია, ამგვარი მითითებაც დავურთოთ: Please, don't let any preposition (შდრ. წელიწად-ში) slip into the ticked space.

მომდევნო საანალიზო სიტყვა კი, ზმნა to raise, თუმცა ასევე სავსებით ნაცნობი, უთუოდ ითხოვს წერილობით აღნუსხვას. ამასთან, სასურველია ეს მოხდეს to rise – ზმნასთან შეპირისპირებით: to raise vs to rise. შეპირისპირებას საფუძვლად უდევს გრამატიკული, გრაფიკული-ბგერითი და შინაარსობრივი მსგავსების საფუძველზე ამ ზმნათა მცდარი გაიგივება და აღრევა.<sup>17</sup> კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ სტუდენტებში ნაკლებად შეინიშნება მზაობა, გასცდნენ პასიური უნარ-ჩვევის დონეს (დაწერილსა თუ მოსმენილს ხომ კარგად იგებენ!) და მოინდომონ წერასა თუ მეტყველებაში თავადაც სწორად იხმარონ აღნიშნული ზმნები. ჩემი აზრით, ეს „გაქვავებული“ შეცდომების (fossilized mistakes) ერთ-ერთი სახეობაა.<sup>18</sup> მისი დაძლევა მასწავლებლის დახმარებით სტუდენტმა თავად უნდა შეძლოს, ეს მისი პასუხისმგებლობისა და შრომისმოყვარეობის საქმეა; ასევე – სურვილისა (determination): ერთხელ და საბოლოოდ გაემიჯნოს წლების მანძილზე „ნატარებ“ შეცდომას.

17 უნდა ითქვას, რომ ეს მსგავსება არ არის მოკლებული საფუძველს – ისტორიულად to raise წარმოდგება to rise – ზმნისაგან (ამავე წესს მისდევნენ ზმნები: to lie → to lay, to fall → to fell [14, §149]). აქ ძლიერი (ანუ არაწესიერი) ზმნა გარდაუვალია და მეორე ანუ ნამყო დროის ფორმისაგან წარმოქმნის სუსტი უღლების (ანუ წესიერი) გარდამავალ მეწყვილეს: The tree fell to the ground; He tried to fell the tree to the ground.


18 ამ სახის გრამატიკული შეცდომები უკვე იყო ნახსენები სტატიის პირველ ნაწილში [1, 328]. დავძენ, რომ fossilized mistakes (ისევე, როგორც ზემოხსენებული chunk) უცხოური მეთოდიკიდან მოხმობილი ტერმინია.



რა დახმარების აღმოჩენა შეუძლია ამ შემთხვევაში მასწავლებელს? პასუხი ერთია – კვლავ ბმულობა და ეს ბმულობა, საზგასმით უნდა ითქვას, მიზეზობრივი ახსნის შემცველია – ამ ზმნებს ერთმანეთისაგან პრინციპულად განასხვავებს მათი მარჯვენა გარემოცვა: to rise გარდაუვალი ზმნაა, to raise კი – გარდამავალი; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, to rise არ დაირთავს პირდაპირ დამატებას, to raise - ზმნას კი უსათუოდ სჭირდება წინადადების ეს წევრი და ყოველთვის თან ახლავს ამგვარი „პარტნიორი“; კიდევ უფრო მარტივად:<sup>19</sup> \*to rise what/who(m)? შეცდომაა, ხოლო to raise what/who(m)? ერთადერთი სწორი გარემოცვაა, რომელშიაც აღნიშნული ზმნა ჩაისმის.

ბევრად უფრო მარტივად ყოველივე ეს სქემით ანუ ვიზუალურად, გრაფიკული ენით გადმოიცემა. სქემა დაიხაზება სიტყვარის მარჯვენა გვერდზე (მარცხენაზე შესაბამისი ნუმერაციით ჩაწერილია საანალიზო ზმნა ოთხივე ფორმით: to raise, raised, raised, raising; ასევე to rise, rose, risen, rising).

სქემა 2.



სქემას მარჯვნივ დართული აქვს მოკლე ინფორმაცია: to rise ✓. მოცემული თვალსაჩინოება, ვფიქრობ, სიზუსტის კიდევ ერთ დეტალს შეიცავს: აქვე, to raise – ზმნასთან ჩამომწკრივებულ დამატებათა ფონზე, ნიშანი ✓ ამგვარი „პარტნიორის“ არყოფნის/არხმარების მით უფრო მეტყველი გაფრთხილებაა: დაიცავი სქემის ენით გადმოცემული სიზუსტე.

ჩვეულებრივ, განმარტება, წესის სახით მიეწოდება იგი ადრესატს თუ სხვაგვარად, შეიძლება იყოს წართქმითი: to raise იხმარება იქ, სადაც დგას პირდაპირი დამატება (პ/დ), ან უკუთქმითი: to raise არ იხმარება იქ, სადაც არ დგას პ/დ (იგივე წესი მოერგება მეორე

19 ამგვარი სწრაფვა გამარტივებისაკენ დღევანდელი სინამდვილით – გრამატიკაში (იგულისხმება მშობლიური ენა) სტუდენტთა მომზადების არასასურველი დონით – აიხსნება. სათანადო ცოდნა ამ მიმართებით ბევრად გააადვილებდა სწავლების პროცესს, მით უფრო, თუ საქმე ენობრივ უნივერსალებს ეხება (როგორცაა ამ შემთხვევაში გარდამავლობა, პირდაპირი დამატება).

ზმნას: *to rise* იხმარება იქ, სადაც არ დგას *პ/დ*; *to rise* არ იხმარება იქ, სადაც დგას *პ/დ*)<sup>20</sup>.

სწორედ ესაა საკითხის მიზეზობრივი ახსნა, არგუმენტირებული დასაბუთება (ანუ აუდიტორიული მუშაობის know-why) – იგი სტუდენტს, მომავალ მასწავლებელს, ფილოლოგს ასწავლის სად და რატომ უნდა იხმაროს ამ ზმნათაგან ერთი ან მეორე. ამგვარი მიდგომა სიღრმისეული შეცდომის (error) აღკვეთას ისახავს მიზნად და თავადაც სიღრმისეულია. შემდგომ, აუდიტორიაში თუ დამოუკიდებლად, სავარჯიშოების ჩართვით, ყოველივე სათანადოდ უნდა იქნეს განმტკიცებული, რათა სტუდენტის მეტყველებიდან შეძლებისგვარად გამოირიცხოს რაიმე სახის უზუსტობა და უნებლიე შეცდომა (mistake).<sup>21</sup> უზუსტობანი კვლავ მოსალოდნელია, მაგრამ ეს არ არის მთავარი; მთავარი აქ სხვაა, კერძოდ, ის, რომ სტუდენტი მინიშნებისთანავე დიდი ალბათობით თავად შეასწორებს შეცდომას, რომელიც ინერციის ძალით ერთხანს კიდევ გაჰყვება მას.<sup>22</sup> მეორე მხრივ კი – ის, რომ ამგვარ მიდგომაში, შემეცნებითთან ერთად, არის აღმზრდელობითი მუხტი – ახსნით მიღწეული ცოდნა და ცოდნაზე დაფუძნებული კომპეტენტურობა (*მე ვიცი, თუ რატომ ვირჩევ ამ ვარიანტს და „არ ვმუშაობ გარტყმაზე“*) არის ის, რაც უდავოდ თავის სათქმელს იტყვის დღევანდელი სტუდენტის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში: განცდა აკადემიური თავისუფლებისა, მიღწევადობისა (a sense of achievement). ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სცილდება ენობრივ ჩარჩოებს და დისციპლინათშორისი ხასიათის ჟღერადობას იძენს...

ერთი მაგალითი თუ სქემა, როგორც წესი, არ იმსახურებს დეტალურ განხილვას, რომ არა ზემოთქმულის ზოგადი ხასიათი – ზემოთქმული მეტ-ნაკლები სიცხადით ენის ყველა დონეს მიემართება. სიცხადე მეტია იქ, სადაც დამაჯერებლად „ხერხდება“ მიზეზობრივი ახსნა, და ნაკლებია იქ (ვთქვათ, იდიომატურობის შემთხვევაში), სადაც დაბინდულია ენობრივი რეალობა და ცალკეული მაგალითების დასწავლა-დაზეპირებით მიიღწევა მეტყველების სიზუსტე.

განვავრძოთ სქემების განხილვა.

სქემის ინფორმატულობა შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს ფერადი კოდით, აღნიშვნებით (ხაზგასმა, წრის შემოვლება და სხვ.). გრაფიკული ნიშანდება ერთეულის სირთულეზე მეტყველებს და,


20 გარემოებით სიტყვებს ამგვარი განმასხვავებელი ფუნქცია არ გააჩნიათ და, ამდენად, შეპირისპირებით ანალიზში raise vs rise არ „მონაწილეობენ“.

21 სიღრმისეულ და უნებლიე/ზედაპირულ შეცდომებს განიხილავს [15, 20], ამასვე გრამატიკულ მასალასთან მიმართებაში კი – [1, 321].

22 თვითშესწორებასა და უნებლიე შეცდომებზე მეთოდოლოგიაში მიღებული აზრის შესახებ იხ. [1, 321-322].




სქემა 4.




დ) „პარტნიორთა“ გრამატიკულ მახასიათებლებზე დამოკიდებით სქემა შეიძლება განვიხილო როგორც მარჯვნივ, ასევე მარცხნივ:

სქემა 5.



ე) თავისი ფორმულისებური კომპაქტურობით სქემა იტევს არაერთგვაროვან გრამატიკულ ინფორმაციას, შემდგომ კი მასში უსასრულოდ „ჩაიტვირთება“ კონკრეტული ლექსიკური მოცემულობები:

სქემა 6.



ამგვარი სქემები ფორმულისებურია, რადგან მათი განუსაზღვრელი შემადგენლები (sb., sth., one's და სხვ.) სინამდვილის ვრცელ არეალს და არაერთგვაროვან შემადგენლებს მოიცავენ. ფორმულისებური განუსაზღვრელობა, ჩვეულებრივ, სიზუსტის დაბალ დონეს სთავაზობს შემსწავლელს, რაც, თავის მხრივ, ადვილად გადაიზრდება შეცდომაში. ამის აღსაკვეთად სქემა აქვე აკონკრეტებს „პარტნიორთა“ რაობას: to suggest sth. (an idea, a plan და სხვ.).

თუ ანალიზს მივყვებით, გვსურს თუ არა, მეხსიერებაში დიდი ალბათობით ამოიზიდება ზმნა to offer. ამით უკვე დგება სინონიმის საკითხი.<sup>24</sup> ეს კი გარკვეულ სირთულეს ქმნის – ენის ჰორიზონტალური განფენილობიდან (რასაც მიკროკონტექსტი, სიტყვათა ბმულობა ანუ „პარტნიორები“ ჰქვია) მას ვერტიკალურ განზომილებაში გადავყავართ. ეს უკვე პარადიგმატიკის სფეროა მისთვის დამახასიათებელი შეპირისპირებით to suggest vs to offer – სტუდენტი ან ერთს ირჩევს, ან მეორეს. როდის – რომელს?

24 ამავე ჯგუფში მოიაზრება to propose, მაგრამ მიზეზთა გამო (ხმარების დაბალი სიხშირე, ოფიციალური სტილი [5, 1211]) მას არ შევყვებით.

ამ შემთხვევაში სასურველია, ისევ სინტაგმატიკას მივმართოთ, ისევ „პარტნიორები“ მოვიშველიოთ: to offer help, money, one's services; მაგრამ ზოგჯერ ესეც არ არის საკმარისი. შდრ.: to suggest a plan vs to offer a plan. აქ მხოლოდ მასწავლებლის ძალისხმევით მიიღწევა სასურველი სიზუსტე. ეს ის შემთხვევაა, როცა საანალიზო სიტყვას უსათუოდ უნდა ახლდეს მაგალითებით განმტკიცებული სალექსიკონო განმარტება. ქართული შესატყვისი შესთავაზა ამ ორივე ინგლისურ ზმნას იტევს. ამიტომაც, დედაენის ინტერფერენციის შედეგად რომ არ მოხდეს აღრევა, უნდა დაიძებნოს მნიშვნელობის განმასხვავებელი კომპონენტი, რომლის შემწეობითაც ზემოხსენებული ლექსიკური ერთეულები მეტი სიცხადით გაიმიჯნებიან ერთმანეთისაგან. სხვაობა კარგად ჩანს განმარტებებში: to suggest sth. (to sb.) – to put forward an idea or a plan for other people to think about [5, 1535]; to offer sth. (to sb.) / ~ sb. sth. – to say that you are willing to do sth. for sb. or give sth. to sb. He ~ed \$4000 for the car. They decided to offer Jim the job. I gratefully took the cup of coffee he offered me [5, 1025].<sup>25</sup>

მოცემული ზმნების შემთხვევა მარტივია – იგი მხოლოდ ნიმუშის დანიშნულებას ასრულებს. მაგრამ აქ ითქვა მთავარი: აუცილებელია განსხვავების დადგენა და სათანადოდ გააზრება. ეს ზოგადი წესია და იგი შინაარსობრივად ერთგვაროვან სიტყვებს მიემართება. პრაქტიკაში ყოველივე ამის განხორციელება ზოგჯერ არ არის ადვილი, მაგრამ კონტრასტული ანალიზი ყოველთვის შედეგიანია (დავძენ, რომ ამგვარი მიდგომის აუცილებლობაზე ცალსახად მიუთითებს ლათინური vs /versus: big vs great; pretty vs beautiful და სხვ.). შეპირისპირებითი ანალიზი მიზეზობრივი ახსნის შემცველია (რატომ pretty და არა beautiful/handsome და ა.შ.), ეს კი სიზუსტის, ცოდნის უტყუარი წინაპირობაა, ესაა კიდევ ერთი კანონზომიერება, დაძებნილი ლექსიკაში, კიდევ ერთი განზოგადება, კიდევ ერთი ნაბიჯი, გადადგმული მასალის სისტემატიზაციისაკენ ლექსიკის პრაქტიკული სწავლების საკმაოდ რთულ გზაზე.

ახლა ჩავუკვირდეთ მაგალითებს, რომლებიც ინგლისურის პირველი სასერტიფიკაციო ტესტებიდანაა ამოღებული (როგორც ვიცით, FCE ტესტირება უშუალოდ მოსდევს სწავლების შუალედურ დონეს): 1. Camping is very cheap after the ..... investment in equipment. a) starting b) initial c) first d) primary. 2. Sometimes finding the right place to stay can be a lot of ..... a) hassle b) nuisance c) problem d) difficulty [16, 190].<sup>26</sup>

25 ხაზგასმა ჩემია, რომ უფრო გამოიკვეთოს to offer ზმნის განმასხვავებელი ნიშანი – შეთავაზება; მზაობა, კეთილი ნება, გააკეთო ვინმესთვის რაიმე.

26 სწორი პასუხები ხაზგასმულია.

დამოწმებული წინადადებები დახვეწილი ლექსიკური ნიუანსების ცოდნას ითხოვენ. სწორედ ამგვარ სიზუსტეზეა გათვლილი არჩევანი ან .... ან. ეს ბევრი შემსწავლელისათვის, როგორც დღეს იტყვიან, ნამდვილი გამოწვევაა. მასწავლებლის ძალისხმევა კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მხოლოდ პასუხების კრებულში დაფიქსირებულ სიტყვას ასახელებს, არამედ შეძლებისგვარად განმარტავს, თუ წინადადება მრავალჯერადი პასუხიდან რატომ ითხოვს ამ და არა სხვა რომელიმე ერთეულს. ეს კი გასაგებს ხდის, უფრო მეტიც, ასახულებს არჩეული ვარიანტის სისწორეს, რაც საკითხისადმი ანალიტიკური, არგუმენტირებული მიდგომით მიიღწევა და რაც საფუძვლიანი ცოდნის საწინდარს წარმოადგენს.

შეპირისპირებითი ანალიზი, ანუ არჩევანი ან... ან..., როგორც ითქვა, ზოგადად პარადიგმატიკის, ამ შემთხვევაში კი ლექსიკური პარადიგმატიკის განხილვის საგანს შეადგენს.<sup>27</sup>

ენის ამგვარ ნიუანსებს ინგლისური ენის მომავალი სპეციალისტები თეორიულ კურსში ეცნობიან, რასაც პრაქტიკული სწავლება უნდა განამტკიცებდეს.<sup>28</sup> აი, თუნდაც ერთი მაგალითი სახელმძღვანელოდან ზედსართავი სახელით calm: I'm a calm person by character [2, 175], რომელზეც აიგებოდა სათანადო კომენტარი: calm vs quiet vs still... და დამატებითი მასალის სახით დაურიგდებოდა სტუდენტებს; და თუ მე, სტუდენტი, ამ სინონიმთა რიგიდან ავარჩიე serene და ეს არჩევანი სწორია, რადგან საქმე მაქვს სტილისტურად შეფერილ და ამალღებულ კონტექსტთან/სიტუაციასთან, ეს ნიშნავს, რომ მე არა მხოლოდ აღნიშნულ სიტყვას ვიცნობ ზედმიწევნით კარგად, არამედ ვიცნობ სინონიმთა მოცემული რიგის ყველა დანარჩენ წევრს – სწორი არჩევანი მათი ცოდნითა და გვერდის ავლით გავაკეთე, ლექსიკური სიზუსტე მთელი მიკროსისტემის (სინონიმთა) ჩართულობით იქნა მიღწეული.

პარადიგმატიკა, ლექსიკური იქნება ის თუ გრამატიკული, მინიშნებით, იმპლიციტურად იტევს და მოიცავს კონკრეტული მიკროსისტემის ცოდნას, რომელსაც ამ უკანასკნელის ცალკეული წევრი მიეკუთვნება.

27 პარადიგმატულ კავშირთა ცოდნის აუცილებლობას ადასტურებს თავად ინგლისელი ავტორი, როცა სწავლების საწყის ეტაპზევე მარტივად და ზუსტად აწვდის უცხოელ შემსწავლელებს შესაბამის ინფორმაციას (great vs big და სხვ.). მხედველობაში მაქვს წარსულში პოპულარული სახელმძღვანელო ასევე პოპულარული სახელწოდებით „ეკერსლი“ (I ნაწ. გაკვ. 15). დავძენ: სწავლების მეთოდები (და შესასწავლი მასალაც) დროით განფენილობაში უდავოდ ითხოვენ განახლებას, მაგრამ არის ბევრი რამ, რასაც თავად ენა უცვლელად გადასცემს თაობიდან თაობას. დამოწმებული შემთხვევაც სწორედ ამის მაგალითია.

28 ეს ცალკე საკითხია და თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეტი კოორდინაციის საჭიროებაზე მიუთითებს.

ნება. თუ მე ვამბობ *დედამ მითხრა...*, ეს ნიშნავს, რომ მე არსებითი სახელის შვიდივე ბრუნვას ვიცნობ, ვიცნობ მათ ფუნქციებს, ხმარების წესებს და სწორედ ამის საფუძველზე ვხმარობ ერთადერთ სწორ ფორმას – მოთხრობით ბრუნვას. პარადიგმატიკა, რომელიც სინტაგმატურ კავშირთა, ანუ ბმულობის განუყოფელი ნაწილია, ართქმულის ცოდნითაა გაჯერებული და ამ მიმართებით მიღწეული სიზუსტე ენის ფლობის საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს.

რაც შეეხება ზემომოყვანილ მაგალითებს და, ზოგადად, მრავალჯერად არჩევანს, სინონიმთა გარდა, ტესტები ხშირად გვთავაზობენ სიტუაციაზე მორგებულ თუ ფუნქციურად ეკვივალენტურ სიტყვებს. სწორი პასუხის მიგნება შედარებით მარტივია, რადგან სავარაუდო პასუხი დასახელებულია, როგორც იტყვიან, თეთრზე შავითაა მოცემული; ამდენად არის ალბათობა (ჩვეულებრივ პროპორციით 1:4), რომ არცოდნის შემთხვევაშიც „იქნებ გამიმართლოს“ და სწორი პასუხი შემოვხაზო.

როგორც ითქვა, თუ გვსურს, რომ ტესტირების ამ მეტად მიღებულმა სახემ „კეთილი აკადემიური კვალი დატოვოს“ და ცოდნა შემატოს სტუდენტს, საკითხი სწორი პასუხის დასახელებით არ უნდა ამოიწუროს. ამ მხრივ, ალბათ, დამაფიქრებელია მეთოდური ხასიათის ტერმინები: to address a language point vs to deal with it in an on-the-spot manner. ცხადია, ამათგან სიზუსტით სწავლებაზე პირველი მიუთითებს.

სიზუსტესთან დაკავშირებით დავუბრუნდები სქემებს. კერძოდ, იხ. სქემა 1, სადაც პუნქტი გ) დამატებით განმარტებას ითხოვს. იქ ითქვა, რომ მოცემულ შემთხვევაში ახსნისას აუცილებელია ლექსიკური და გრამატიკული კომპონენტების შერწყმა. განიხილებოდა სიტყვა experience მისი ორი – თვლადი და უთვლადი – მახასიათებლით.

შეცდომის აღსაკვეთად და ამ სიზუსტის განსამტკიცებლად შეგვიძლია, გამოვიყენოთ სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდი – peer teaching/learning. ეს ხერხი მარტივია და მარტივი ცხრილითვე დაგვეხმარება საკითხის გარკვევაში.

სტუდენტებს გამზადებული მასალის სახით ვურიგებთ ან/და დაფაზე ვწერთ მინიმალურ კონტექსტში ჩასმულ პრობლემურ სიტყვებს (აქ: experience UN vs experience CN).

UN	CN
much/little experience	many/few experiences
much/little time	many/few hours, days, months
much/little love, care	many/few words of love, endearment, reproach
much/little progress, work	many/few years of hard work, progress

და მისთ.

როგორც წესი, მასწავლებელი არ იძლევა არავითარ განმარტებას – განმარტებანი უკვე „ჩადებულია“ ცხრილში და ახლა მისი სათანადოდ წაკითხვა თუ ამოკითხვაა საჭირო. წამკითხველი თავად სტუდენტის, სტუდენტის კოლექტივის უნდა იყოს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რომ სტუდენტებმა ჯგუფურად, ერთობლივი მუშაობით და ცხრილზე დაკვირვებით გამოიცნონ/დაასკვნან, თუ რა შემთხვევაში რაგვარ არსებით სახელთან (კატეგორიზაცია თან ახლავს ცხრილს: UN vs CN) რომელი მსაზღვრელის ხმარებაა მართებული.

საილუსტრაციო მასალა/ცხრილი გვიჩვენებს, რომ ე.წ. peer teaching/learning სტუდენტთა აქტიურობაზე გათვლილი – თანატოლები (peers) აკვირდებიან ცხრილს და ინდუქციის მეთოდზე დაყრდნობით თავადვე აკეთებენ დასკვნებს, უსწორებენ ერთმანეთს უზუსტობებს, მასწავლებლის მიერ „დაპროგრამებული“ ფიქრის, აზროვნების გზით ცდილობენ თავადვე „გაუმკლავდნენ“ პრობლემურ საკითხს (აქ: experience UN vs experience CN და მათი ანალოგები). საკუთარი ძალისხმევით მიღწეული მიგნებები დიდი ალბათობით უკეთესად დაამახსოვრდება თითოეულ მათგანს.

ზემოხსენებული ნათელი მაგალითია იმისა, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში ეწოდება (საკითხისადმი) learner-centred and task-based approach, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი TTT (Teacher Talking Time); ასევე, ეს გარკვეულწილად აბათილებს იმ უარყოფით ელფერს, რომელიც ახლავს ფრაზას chalk and talk approach to teaching.

ყოველივე ამასთან ერთად სპეციალური ლიტერატურა არც მასწავლებლის წვლილს ივიწყებს. „კადრს მიღმა“ რჩება მასწავლებლის შრომის დიდი ნაწილი (იგულისხმება ცხრილის შედგენა), ანუ როლი მასწავლებლისა, რომელმაც ჩაიფიქრა და ამ სახით მიაწოდა მასალა აუდიტორიას, რომელმაც დაგეგმა ყოველივე (teacher-planner), თუმცა, როგორც ვხედავთ, დიდი ნაწილი იმ როლისა, რომელსაც ჰქვია teacher-presenter მან სტუდენტებს გადასცა/დაუთმო, თავად კი დაკვირვებითა და პროცესის წარმართვით შემოიფარგლა (შესაბამისი როლები: teacher-observer, teacher-monitor). ნებისმიერ შემთხვევაში ეს განმტკიცებულია იმ მრავალსიმომცველი როლისა, რომელსაც teacher-educator ეწოდება.



ლექსიკა თავისი უსასრულობითა და მრავალფეროვნებით მართლაც რთული სფეროა. უნებლიეთ მახსენდება ამგვარი ტექსტი: (A) English is a difficult language to learn. (B) True, but the grammar is quite easy [17, 106]. ეს მაგალითი სულ სხვა თემის საილუსტრაციოდ ავტორთა მიერ მოხმობილი (ეს თემაა Tactful Disagreement), მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი მსჯელობის კონტექსტშიც არ უნდა იყოს იგი უადგილო: გრამატიკა ადვილია, – როგორც ანალიზურ ენას, ინგლისურს არ გააჩნია პარადიგმათა მდიდარი სისტემა (შდრ.: ქართულში არსებითი სახელის შვიდი ბრუნვა, სხვა სახელთა ბრუნვები, ზმნის პირის, რიცხვის ან სხვა კატეგორიათა ფლექსიები და ა.შ.). თითქოს ამის საპირწონედ ჩვენს შესასწავლ ენაში ლექსიკის დონეა რთული. ამას არაერთი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან აღსანიშნავია: მდიდარი ლექსიკური ფონდი, ენის ღრმა და მზარდი იდიომატურობა, ამა თუ იმ სიტყვის გეოგრაფიულ-ტერიტორიული ვარიანტები, კლასიკური ენებიდან შემოსული სიტყვები, რომელთა დიდი ნაწილი ფართოდ იხმარება ინგლისურში და ხშირად გარკვეული სტილისტური დატვირთვითაც, ლექსიკური სისტემის ლიაობა და დინამიკა და ა.შ.

აღნიშნული გარემოება არ უნდა გახდეს სასწავლო პროცესში ჩართული მხარეებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორი. მთავარია, მათ ერთობლივი ძალისხმევით დაძლიონ ენის ლექსიკური დონის სირთულეები, რომელთაგან, ჩემივე დაკვირვებით, გამოირჩევა ლექსიკის ფლობის სიზუსტე და მასშტაბები ანუ სიტყვათა მარაგი (vocabulary range), აგრეთვე იდიომატიკა. ეს უკანასკნელი, გარკვეული სპეციფიკის გამო, ცალკე უნდა იქნეს განხილული.

ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე უკვე იყო საუბარი,<sup>29</sup> – მხედველობაში მაქვს სიტყვარი. ეს საუბარი ლექსიკის ფლობის არა მხოლოდ რაოდენობივ, არამედ თვისობრივ მხარესაც შეეხო (სიტყვათა ბმულობა, გრაფიკული ნიშანდება, სქემები, სიტყვარის მარჯვენა გვერდი Word Power, ერთგვაროვან ლექსიკურ ერთეულთა დიფერენცირება), რაც ძალზე მნიშვნელოვანი ხდება, როცა განხილვის საგანს მეტყველების სიზუსტე წარმოადგენს.

სახელმძღვანელოების პარალელურად, მით უფრო – ინგლისური ენის მომავალ სპეციალისტებთან, საჭირო ხდება სტუდენტის რაოდენობრივი პარამეტრით გაძლიერება, მისი სიტყვათა მარაგის უფრო მეტად გამდიდრება. ამ მიმართებით, თითოეული მასწავლებელი გარკვეულ გამოსავალს ალბათ თავადვე პოულობს. სახელმ-

29 ეს საუბარი, ცხადია, აქ ზღვარდადებულია და მის მიღმა დარჩა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორებიცაა: პოლისემია, სიტყვათწარმოება და ა.შ. მაგალითისათვის იხ. [6, 163], სადაც კარგადაა წარმოდგენილი ერთგვაროვან სიტყვათა ჯგუფები (Word Families).

ძღვანელოს ლექსიკის გარდა და მიღმა სტუდენტმა, სასურველია, დაიხმაროს შესაბამისი დონის სიტყვარი – მაგალითად ავტორი B.J. Thomas; ასევე მიმართოს ინტერნეტის გვერდს The Oxford 3000 Word List და სხვ. დასახელებული წყაროები სტუდენტს უსათუოდ შესთავაზებენ ახალ სიტყვებს და შეავსებენ იმას, რაც ვერ მოხვდა სახელმძღვანელოთა თემატურ ქარგაში, რაც მის მიღმა დარჩა. ასეთი კი არცთუ ცოტაა. მაგალითად, სტუდენტს, შესაძლოა, აქტიურ მარაგში ჰქონდეს არაერთი ნეოლოგიზმი თუ სხვა რაიმე რთული ლექსიკური ერთეული, მაგრამ არ იცოდეს ისეთი მარტივი სიტყვები, როგორცაა (და მათ კვლავ საკუთარი გამოცდილებიდან მოვიხმოთ): saucer, a loaf /loaves (of bread) და მისთ.

მაშასადამე, ლექსიკურ მარაგზე/სიტყვარზე მუშაობისას იკვებება ამგვარი ენობრივი რეალობა: არის გაუანალიზებლად დასაწავლი/დასაზებირებელი მოცემულობა. მაგალითად, თუნდაც იგივე saucer, ან ვთქვათ bedside table და სხვ.; ასევე: უკვე ნახსენები famine; pristine beauty, a spectacular view, self-sufficiency [7, 62] და ა.შ.; დიდი ალბათობით, აქვე შედის იდიომატიკის თითქმის მთელი სპექტრი. ამასთან ერთად, არის ლექსიკურ-გრამატიკულ ფაქტორთა მოხმობით ასახსნელი მასალა. მაგალითისათვის გავიხსენოთ სქემა 2 ან to suggest vs to offer მათზე დართული მსჯელობითა და ანალიზით.

სიტყვარს, ახალ ლექსიკურ ერთეულებს ნებისმიერ შემთხვევაში ესაჭიროება ხშირი გა(და)მეორება, მით უფრო, რომ ჩვენი სტუდენტი მოკლებულია ინგლისურენოვან გარემოს. აი, როგორი მაღალმხატვრული ენით შეგვახსენებენ ამას ლექსიკოგრაფები: New words that come into your vocabulary are as elusive as little shining eels, and unless you rehearse them constantly you will find that they will wriggle out from between your mental fingers and slip back into the sea of language [10, 158]. გამოცდილება მკარნახობს, რომ ვიდრე სრულ დავიწყებას მიეცემოდეს, ერთგზის დამუშავებული და შემდგომ „უყურადღებოდ დარჩენილი“ ლექსიკა აქტიურიდან პასიურ ცოდნაში გადადის – წაკითხული და მოსმენილი, შესაძლოა, გავიგოთ, მაგრამ თავად ან არასწორად, ან საერთოდ ვერ ვიყენებთ მას, ვერ ვახდენთ ამა თუ იმ სიტყვის/გამოთქმის ზეპირსა და წერით მეტყველებაში ჩართვას. ვფიქრობ, გრაფიკული ნიშანდება და სქემები გარკვეულ სამსახურს გაუწევს სტუდენტს როგორც სიტყვარის დასწავლის, ასევე მასზე დამატებითი მუშაობის პროცესში.

ეჭვს არ იწვევს, რომ საუნივერსიტეტო პროგრამა წასაკითხი მასალის სახით სტუდენტს უნდა სთავაზობდეს მხატვრულ ლიტერატურას. ეს და სხვა დამატებითი წყაროები ჩათვლის ან სხვა რაიმე სახით

უნდა შემოწმდეს, სადაც ახალი სიტყვების ამა თუ იმ რაოდენობას უნდა მიეჭეს სათანადო ყურადღება.

ცხადია, მხატვრულ ტექსტს მხოლოდ ამგვარი ჩარჩო ვერ დაიტევს – თავისი ზნეობრივ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ღირებულებებით იგი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ლექსიკურ ერთეულთა ნუსხა. ეს ცალკე საკითხია, ამასთან – მეტად მნიშვნელოვანი. აქ მხოლოდ შენიშვნის სახით დავძენ: მხატვრული ლიტერატურის უგულვებლყოფით ჩვენც, უნებლიეთ, სწავლების იმ შეზღუდული სტანდარტით ვმოქმედებთ, რომელიც ინფორმაციის მიწოდებას აღზრდა-განათლებაზე, ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე მალლა აყენებს. სინამდვილეში კი პირველი, თუმცა აუცილებელი, მაგრამ მაინც მხოლოდ ნაწილია მეორისა...

რაც შეეხება იდიომატიკას, ამ მიმართებით ბევრი რამ შეიძლება ითქვას ნებისმიერი ენის, მით უფრო – ინგლისურის შესახებ. ინგლისურს გამოვყოფ, რადგან ესაა არა მარტო ღრმად იდიომატური, არამედ ამ პარამეტრით მუდმივად განახლებადი ენა: მისი ლექსიკური მარაგი მნიშვნელოვანწილად ივსება და მდიდრდება „ახალი წყობის“ იდიომებით. მხედველობაში მაქვს ფრაზული ზმნები, და არა მხოლოდ ისინი. ენის სიზუსტით სწავლების კუთხით მეტად საყურადღებოა იდიომატიკის გრამატიკული მხარეც; მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ითქვას, ცალკე განსჯის საგანია. ამჯერად, ლექსიკის სწავლებაზე საუბარს ვასრულებ იდიომატიკის განხილვის გარეშე და ასე შევაჯამებ ზემოთქმულს:

სტატიის (II) მონაკვეთი იმ ზოგადი პარამეტრის ძიებას ეძღვნება, რომელიც სტუდენტს ლექსიკის სიზუსტით დაუფლებას გაუადვილებს და ამგვარი დაუფლების კონკრეტულ გზებსაც დაუსახავს მას.

ლექსიკის სისტემური მახასიათებელი, ანუ ის, რაც მუდმივად აქტუალურია და ტექსტზე/სიტყვარზე მუშაობის მართებულ ჩვევებს უყალიბებს სტუდენტს, არის სინტაგმატური კავშირების პრიმატი – ლექსიკური ერთეული მისი უშუალო გარემოცვის განუყოფელი ნაწილია და, ამდენად, აუცილებელია სიტყვის ბმულობაში, „პარტნიორთა“ გარემოცვაში აღნუსხვა და დამახსოვრება. სწავლების თვალსაზრისით ასევე სისტემურია და მნიშვნელოვანი სიღრმისეული წვდომის მიზნით საკითხთა მიზეზობრივი ახსნა. ესაა აუდიტორიული მუშაობის ე.წ. know – why ასპექტი.

აქვე სახელდება ვიზუალური მესხიერების საშუალებანი (გრაფიკული ნიშანდება, სქემები) და ლექსიკური სიზუსტის მისაღწევად მათი ეფექტური გამოყენების გზები.

## რეზიუმე

წინამდებარე პუბლიკაცია ნაწილია ნაშრომისა, რომელიც ინგლისური ენის სიზუსტით სწავლების გამოცდილებას უზიარებს მკითხველს. ნაშრომის ადრესატია ერთენოვანი სტუდენტური აუდიტორია, მიზანი – გააცნოს მას ენის სიზუსტით დაუფლების სავარაუდო გზები.

ადრესატის ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პუბლიკაციის ზოგად პარამეტრებსა და შინაარსს. ამოსავლად მიჩნეულია ის გარემოება, რომ საქმე ეხება საუნივერსიტეტო განათლებას და სტუდენტს: ზრდასრულ შემსწავლელს, მომავალში დიდი ალბათობით EFL მასწავლებელს, მთარგმნელს ანგლისტსა და ფილოლოგს, რომელიც შეზღუდული დროის პირობებში და ე.წ. საბაზო ინგლისურის ჩარჩოებში ეუფლება ინგლისურ ენას. ამ და რიგ სხვა გარემოებათა გამო, რომელთაგან ნაზგასმით გამოვყოფდი სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ და მოტივირებულ ჩართულობას, მიზანშეწონილია აუდიტორიაში აზროვნების წესის დანერგვა, რაც საკითხთა მიზეზობრივი ახსნის გზით მიიღწევა. ეს სასურველია და აუცილებელიც, რადგან საქმე გვაქვს გარკვეული ენობრივი კომპეტენციის მქონე შემსწავლელთან (აქ პირველ რიგში სტუდენტის მშობლიური ენა იგულისხმება). ამ კომპეტენციის საფუძველზე და ნაცნობ ენობრივ მოცემულობაზე დაყრდნობით, ანალოგიისა და კონტრასტის მოხმობით, საკითხის არსში სიღრმისეული წვდომით მიზეზობრივი ახსნა შესაძლებლობისამებრ ქმნის საწინდარს, რომ სტუდენტი გააზრებულად და სიზუსტით დაეუფლოს მასალას.

ზემოაღნიშნული ეხება ენის ყველა დონეს, განსაკუთრებული სიცხადით კი – გრამატიკას, რაც ერთიანი ნაშრომის I ნაწილში იყო განხილული [1].

ამგვარად ყურადღება ეთმობა ლექსიკას, კერძოდ, იმ სავარაუდო გზების ძიებას, რომლებიც სტუდენტს გაუადვილებდა ლექსიკური მასალის სიზუსტით დაუფლებასა და შემდგომ მის ზეპირსა და წერით მეტყველებაში გადატანას.

ამგვარი გზების ძიებაში ამოსავლად მიჩნეულია თავად ლექსიკის სპეციფიკა: ლექსიკა, გრამატიკასთან შედარებით, ნაკლებად კონსერვატიულია და იგი ღიაა ყოველგვარი სიახლის მისაღებად. ასევე, ლექსიკური მასალა შედარებით ნაკლებად ექვემდებარება განზოგადებას, რის გამოც ლექსიკას, პრაქტიკული სწავლების კუთხით დანახულს, პირობითად ნაკლებსისტემური ვუწოდებ. ლექსიკის აღნიშნულ მახასიათებლებს შესაბამისად ეძღვნება სტატიის (I) და (II) მონაკვეთები.

მონაკვეთი (I). ლექსიკის ნაკლებკონსერვატიულობა და ღიაობა გულისხმობს ენის გამდიდრებას ახალი ლექსიკური ერთეულებით.

განხილულია საკითხის სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარე – ნეოლოგიზმების (1) ფორმა, ანუ სიტყვათწარმოების საშუალებანი, და (2) შინაარსი ანუ ინფორმაციულობის ხარისხი. (1). ხმარების სინში-რითა და სპეციფიკით ყურადღებას იქცევს კონვენსია და ფრაზული ზმნები. ერთიცა და მეორეც ლექსიკური ფონდის ზრდის ეფექტური და მძლავრი საშუალებაა. (2). ენაში სიახლეთა „შემოდინებას“, მათს აქტუალობასა თუ შინაარსობრივ დატვირთვას ექსტრალინგვისტური ფაქტორი განაპირობებს. აქ წარმოდგენილია როგორც საკუთრივ ინ-გლისურენოვანი, ასევე კულტურათშორისი კონტაქტების მეშვეობით ჩვენს სინამდვილეში დამკვიდრებული ნეოლოგიზმები. ყოველივე ეს პრაგმატიკის სფეროა და ამასთან – მეტად მნიშვნელოვანი, რადგან ბევრი სიახლე საზოგადოებრივ თუ ინდივიდუალურ ფასეულობებს მიემართება აქედან გამომდინარე ყველა საგულისხმო შედეგით.

მონაკვეთი (III) წარმოადგენს მცდელობას, დაიძებნოს ის ზოგადი მახასიათებელი, რომელიც პრაქტიკული სწავლების პროცესში ლექ-სიკის სისტემურ ხასიათს წარმოაჩენს და ტექსტზე მუშაობის სამო-მავლო ჩვევებს გამოუმუშავებს სტუდენტს. ესაა ენის სინტაგმატური განზომილება, რომელშიც ნათლად იკვეთება მიკროსინტაქსის რელე-ვანტურობა და ენის კომუნიკაციური ფუნქციის პრიმატი: სიტყვათა დიდ უმრავლესობას მჭიდრო კავშირი აქვს მის უახლოეს გარემოც-ვასთან და მეტყველების სიზუსტე მოითხოვს, რომ ამ გარემოცვითვე, ანუ ბმულობაში, იქნეს ლექსიკური ერთეული დასწავლილი და და-მახსოვრებული (სწავლების მეთოდის თვალსაზრისით, აღნიშნულ მოვლენას სიტყვის სინსემანტურობას ვუწოდებდი). ამ მიმართებით საგულისხმოა ზედსართაული მსაზღვრელი; ჩვენი აუდიტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა წინდებულიანი მართვა, არტიკლი და ამგვარი „პარტნიორების“ არხმარების/გამოუყენებლობის ცალ-კეული შემთხვევები. შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების სიზუსტე გარკვეულწილად სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის კვეთაზე გა-დის – სიტყვათა ბმულობაზე აგებული ლექსიკური სიზუსტე იმთა-ვითვე მოიცავს პარადიგმატულ ურთიერთმიმართებებს, რაც შუალე-დური დონის პროგრამაში უმთავრესად სინონიმისა თუ შინაარსით მონათესავე სიტყვათა პრობლემატიკას უკავშირდება.

მასალის განმტკიცებისა და სიზუსტით დასწავლის საქმეში გან-საკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რვეულის/სიტყვარის წარმოების კულტურა, ასევე – ვიზუალური მეხსიერების ელემენტთა (გრაფიკუ-ლი ნიშანდება, სქემები) ეფექტური ჩართვა სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკის ნაკლებკონსერვატულობა და ექ-სტრალინგვისტური ფაქტორი; ნეოლოგიზმი vs სიახლე; ლექსიკურ

სიახლეთა ფორმა და შინაარსი; ნეოლოგიზმთა პრაგმატული ასპექტი; ლექსიკის (პირობითი) ნაკლებსიტემურობა; ლექსიკური სიზუსტე და ტექსტზე მუშაობის ზოგადი პარამეტრები; პარადიგმატული და სინტაგმატური კავშირები; სიტყვათა ბმულობა და სინტაგმატური განზომილების პრიმატი; აზროვნების წესის დანერგვა და მიზეზობრივი ახსნის აუცილებლობა; კონსპექტური ჩანაწერების (რვეული/სიტყვარი) წარმოების კულტურა; ლექსიკის სიზუსტით დაუფლების ხელშეწყობი გრაფიკული საშუალებანი (ფერადი კოდი, ხაზგასმა, სქემათა სტრუქტურული სახეები და ინფორმაციულობა).

**ბოლოთქმა.** ამით დასრულდა ჩაფიქრებული პუბლიკაციის ძირითადი ნაწილი. დავურთავ მოკლე კომენტარს:

სპეციალური ლიტერატურა ინგლისური ენის შესწავლის ორ მეთოდს გვთავაზობს – შემსწავლელი ეუფლება: (1) პრაქტიკულ უნარჩვევებს; (2) შინაარსის მქონე საგანს. ამათგან პირველი, რომელიც ყველგან გაცილებით მეტი ინტენსიურობით ინერგება, დღეს უკვე კრიტიკის საგანს წარმოადგენს. ეს გასაგებიცაა, თუკი საკითხს აკადემიური კუთხით მივუდგებით და ენის სწავლებას შემეცნების თეორიის კონტექსტში განვიხილავთ. დავიმოწმებ რამდენიმე საგულისხმო გამონათქვამს: “Learning is the brain's primary function...”; cognitive sciences and the educational application of brain research...; brain-based/content-based learning; how the brain functions and how humans learn და ა.შ. [M.A.Cristison. Applying mind-brain principles to L2 teaching. TESOL Matters. August/September 1997].

წინამდებარე პუბლიკაცია ზემოხსენებულ მიდგომათა ერთგვარი შერწყმის მცდელობაა – ამოსავალია ენის კომუნიკაციური ფუნქცია: ინფორმაციის წარმატებით მიღება-გადაცემა ოთხი უნარ-ჩვევის სისხარტითა და სიზუსტით დაუფლებას ითხოვს. ჩვენი მსჯელობის საგანია მეტყველებისა და წერის სიზუსტით სწავლება, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს რიგ საკითხთა სიღრმისეული წვდომა და ანალიზი. ეს – ზოგადად. კონკრეტულად კი არც თუ მცირეა გასაკეთებელი სახელმძღვანელოში მოცემული მასალის შევსება-სისტემატიზაციისათვის იმ მიზნით, რომ სწავლების მაღალ დონეზე ეს სახელმძღვანელოები სრულად პასუხობდნენ ანგლისტიკის სპეციალობის საუნივერსიტეტო მოთხოვნილებებს.

## დამოწმებანი

1. გოგუაძე ლ., „აუდიტორიის პირისპირ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს)“, კადმოსი 4. 2012, 315-336.
2. A. Clark, J. J. Wilson, Intermediate Total English. Student's Book. 2009.
3. S. Kay & V. Jones, Inside Out. Student's Book Intermediate. 2009.
4. M. Harris, D. Mower, A. Sikorzinska, Opportunities. Intermediate. Students' Book. 2003.
5. A.S. Hornby, Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, 2010.
6. M. Harris, D. Mower, A. Sikorzynska, New opportunities, Upper Intermediate. Student's Book. 2011.
7. R. Acklam, A. Crace, Total English. Upper Intermediate. Students' Book. 2008.
8. M. Foley, Total English. Workbook. Upper Intermediate. 2008.
9. ინგლისური-ქართული ლექსიკონი. XI რვეული. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი. 2003.
10. W. Funk & N. Lewis, 30 Days to a More Powerful Vocabulary, 1971.
11. A.S. Hornby, Advanced Learner's Dictionary of Current English, 1961.
12. P. Procter (Editor-in-Chief), Longman Dictionary of Contemporary English, 1978.
13. Longman New Universal Dictionary, 1982.
14. И. Иванова, Л. Чахоян, История английского языка, Москва, 1976.
15. W. Ancker, Errors and Corrective Feedback. English Teaching Forum, October, 2000.
16. D. Hyde, J. Bell, R. Gower, N. Kenny, First Certificate Expert (New Edition), 2012.
17. G. Leech, J. Svartvik, A Communicative Grammar of English, Moscow, 1983.